პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
28 სექტემბერი
1940 წ.
№ 226 (5927)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის XV ყრილობა (მოწინავე)
გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო - სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სესია
მიწის რეფორმის დამთავრებისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება რიგაში (1-ლი გვ.)
მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო ცენტრი (1-ლი გვ.)
უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თამბაქოს მოსავლის აღებას (მე-2 გვ.)
საფრანგეთის დასავლეთი აფრიკა (ცნობა)
პარტიული ცხოვრება: საანგარიშო-საარჩევნო კრებების შემდეგ; ერთეულ კომუნისტებთან ცუდად მუშაობენ (მე-3 გვ.)
ვ. რატიანი — ამერიკის შეერთებული შტატები ომის გზაზე (მე-3 გვ.).
უცხოეთში:
ინგლის - გერმანიის ომი (მე-2 გვ.)
ინგლის - იტალიის ომი (მე-2 გვ.)
ინდო - ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა (მე-4 გვ.)
ინგლის - იაპონიის ურთიერთობა (მე-4 გვ.).

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის XV ყრილობა

დღეს თბილისში იხსნება საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის XV ყრილობა.

დედაქალაქში იკრიბებიან ორდენოსანი საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები, რათა შეაჯამონ საქართველოს კომკავშირის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული დიდი და სერიოზული მუშაობის შედეგები და დაადასტურონ თავიანთი მზადყოფნა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის დავალებათა შესასრულებლად შემდგომი, კიდევ უფრო თავდადებული მუშაობისათვის.

უკანასკნელი არჩევნებიდან, განვლილი პერიოდი აღსავსეა შესანიშნავი მოვლენებით ლენინურ-სტალინური კომკავშირის ცხოვრებაში. ამ პერიოდში მთელი კომკავშირული მუშაობის შინაარსი განსაზღვრული იყო ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლით. პარტიამ ლენინურ კომკავშირს, როგორც თავის აქტიურ თანაშემწეს, მიანიჭა სახელმწიფოებრივ და სამეურნეო მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის უფლება. ჩვენი პარტიის ამ დიდ ნდობაზე კომკავშირმა უპასუხა უაღრესად ენერგიული და შემოქმედებითი მუშაობით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

საქართველოს კომკავშირმა, რომელიც გარემოცულია საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) და მისი ცენტრალური კომიტეტის მუდმივი მზრუნველობითა და დახმარებით, საანგარიშო პერიოდში უაღრესად თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა. იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა არა მარტო რაოდენობრივად, არამედ იდეურადაც.

მე-14 ყრილობის შემდეგ, ე. ი. დაახლოვებით ერთი წლისა და 8 თვის განმავლობაში, საქ. ალკკ რიგებში მიღებულ იქნა 112.257 მოწინავე ახალგაზრდა, აქედან 42.117 ქალი. ეს იმას ნიშნავს, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა კომკავშირში მოწინავე ახალგაზრდობის მიღების საქმეში. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ვაჟები და ქალიშვილები ისწრაფვიან ლენინური კომკავშირის რიგებისაკენ, სადაც ისინი გადიან თეორიული და პრაქტიკული მუშაობის შესანიშნავ სკოლას, იწრთობიან იდეურად, იძენენ კომუნიზმის მშენებელ მოქალაქეთა ძვირფას თვისებებს.

საქართველოს კომკავშირმა საანგარიშო პერიოდში შესძლო შემობრუნებულიყო სახელმწიფოებრივი და სამეურნეო მშენებლობის დიდი და მცირე საკითხებისაკენ. კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას იღებენ თავიანთი საწარმოს, დაწესებულების, კოლმეურნეობის თუ სასწავლებლის საქმიანობაში. ისინი გამოდიან სტახანოვური მოძრაობისა და მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად. საქართველოს კომკავშირი ღირსეულად ახორციელებს შეფობას ისეთ უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე, როგორიცაა საქნავთი და კოლხიდმშენი. საქართველოს კომკავშირის ცხოვრებაში გამონაკლისი როდია ისეთი ფაქტები, როგორიცაა, მაგალითად, ის, რომ ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროს კომკავშირელებმა შესძლეს გარღვევიდან გამოეყვანათ მაღაროს მუდამ ჩამორჩენილი პირველი უბანი, რომელიც კომკავშირულ უბნად იქნა გამოცხადებული. ასევე დამახასიათებელია ენერგიული მუშაობის ის საუკეთესო მაგალითები, რომელიც გვიჩვენეს სამხრეთ-ოსეთის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობაზე, სადაც 4.000 კომკავშირელი მუშაობდა. კომკავშირელთა უდიდესი უმრავლესობა შრომის რკინისებური დისციპლინის დაცვის სანიმუშო მაგალითებს იძლევა.

საქართველოს კომკავშირმა სერიოზული მუშაობა ჩაატარა კომკავშირელთა და მასთან მთელი ახალგაზრდობის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. კომკავშირელთა ძირითადი მასა, პირველ რიგში კი მისი ხელმძღვანელი აქტივი, წარმატებით მუშაობს დამოუკიდებლად საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლაზე. ამასთან ფართოდ დაინერგა კომკავშირელთა და კავშირგარეშე ახალგაზრდობას შორის თეორიული ლექციების პრაქტიკა, გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა წრეებისადმი.

ასრულებდნენ რა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებებს, საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით გააუმჯობესეს მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობას შორის. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მაღალი ხარისხისა და მტკიცე სასწავლო დისციპლინის უზრუნველყოფისათვის ბრძოლა კომკავშირის უმნიშვნელოვანეს ამოცანად გადაიქცა.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უდიდესი ენერგიით მოჰკიდეს ხელი სამხედრო-თავდაცვითი და ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების საქმეს. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მათ შესძლეს ფრიად თვალსაჩინო წარმატებების მოპოვება ამ მიმართულებითაც.

მაგრამ დიდ და მნიშვნელოვან წარმატებებთან ერთად საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ მრავალი ნაკლოვანებანი მოეპოვებათ თავიანთ მუშაობაში. ახლახან ჩატარებულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და რაიონულ კონფერენციებზე კომკავშირელებმა მკაცრად გააკრიტიკეს ცალკეული პირველადი ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები. კრიტიკის ცეცხლი მიმართული იყო განსაკუთრებით ისეთ ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, რომლებმაც ვერ შესძლეს კომკავშირელთა დარაზმვა საწარმოსა, კოლმეურნეობასა და სკოლაში შრომისა და სწავლის სანიმუშო დისციპლინის შექმნისათვის. ზოგიერთი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები ვერ აწყობდნენ ნამდვილ ბრძოლას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების განუხრელად განხორციელებისათვის, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა კომკავშირელთა მიერ შრომის დისციპლინის უხეშად დარღვევის ფაქტებს. ასე იყო, მაგალითად, თბილისის მაუდის და ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკებში, კამოს სახელობის ქარხანაში და სხვ. ცხადია, ამგვარი მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია. კომკავშირული ორგანიზაციები უაღრესად ენერგიულად უნდა იბრძოდნენ საწარმოებსა და კოლმეურნეობებში შრომის რკინისებური დისციპლინისათვის, გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის. თვითეული კომკავშირელი რევოლუციური დისციპლინისა და წესიერების ნიმუშს უნდა იძლეოდეს არა მარტო წარმოებაში, არამედ აგრეთვე სკოლაში, სახლში, ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილებში.

ახალგაზრდა ვაჟებისა და ქალების აღზრდა კომუნიზმის სულისკვეთებით — ასეთია კომკავშირის საპატიო ამოცანა. ამიტომ აუცილებელია შემდგომი დიდი და სერიოზული მუშაობა იმისათვის, რომ ყოველმხრივ განვავითაროთ ახალგაზრდობაში მისწრაფება მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისადმი, კაცობრიობის მიერ დაგროვილი მთელი ცოდნის ათვისებისადმი.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმმა გამოიტანა უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლის საფუძველზე ხდება კომკავშირული მუშაობის საფუძვლიანი გარდაქმნა. საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ენერგიული მუშაობა გააჩაღეს XI პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად გატარებისათვის. რაიონულ და საქალაქო კომიტეტებში შექმნილი კომისიების ირგვლივ თავს იყრის კომკავშირული აქტივი, იქმნება პირობები იმისათვის, რომ თვითეული კომკავშირელი იქნას ჩაბმული ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში.

თავის XV ყრილობაზე საქართველოს ლენინური კომკავშირი მოვიდა შესანიშნავი წარმატებებით, მტკიცედ შემჭიდროებული ბოლშევიკური პარტიისა და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** გარშემო.

ეჭვს გარეშეა, რომ ორდენოსანი საქართველოს კომკავშირელები, რომლებსაც მრავალი წლის განმავლობაში კომუნიზმის სულისკვეთებით ზრდიდა და აწრთობდა დიდი **სტალინის** ღირსეული მოწაფე ამხანაგი **ლ. პ. ბერია**, თავიანთი XV ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო მაღლა დაიჭერენ ლენინ-სტალინის დიად დროშას და ღირსეულად შეასრულებენ ბოლშევიკური პარტიის ყოველ დავალებას.

ბოლშევიკური სალამი საქართველოს კომკავშირის XV ყრილობის დელეგატებს!

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ

საქართველოს ალკკ XV ყრილობა

გაიხსნება

1940 წლის 28 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. შინსახკომის ძერჟინსკის სახელობის კლუბის შენობაში.

ყრილობის დღის წესრიგი:

1. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში — მომხსენებელი ამხ. ა. მირცხულავა,
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში — მომხსენებელი ამხ. ა. არტაზოვი,
3. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის არჩევნები,
4. სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ა. მირცხულავა.

ყრილობის დელეგატებზე მანდატების გაცემა იწარმოებს 28 სექტემბერს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე საორგანიზაციო კომისიაში.

გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სესია

26 სექტემბერს გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად-საკავშირო აკადემიის სესია, რომელიც მიძღვნილია კოლმეურნეობათა წყალმოწყობის დარგში ლონისძიებათა შემუშავებისადმი. სესია გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ნ. ვ. ციცინმა. მოკლე შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა ვორონეჟის ოლქის ტალოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „რკინიგზელის" ინიციატივის არაჩვეულებრივი მნიშვნელობა, რამაც ჩვენს ქვეყანაში გამოიწვია ფართო მოძრაობა წყალსატევების შექმნისათვის.

წყალთა მეურნეობის მოწყობის შესახებ დიდი მოხსენება გააკეთა აკადემიკოსმა ა. ნ. კოსტიაკოვმა. მან აღნიშნა, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წყალსატევების მშენებლობისათვის უსაზღვრო შესაძლებლობა მოიპოვება. მეტად მნიშვნელოვანია ეს მშენებლობა სწარმოებდეს ორგანიზებულად, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია გრუნტის წყალი გამოყენებულ იქნას მინდვრების მოსარწყავად.

კოლმეურნეობათა წყალმოწყობის დარგში უახლოეს ლონისძიებათა შესახებ მოხსენება წაიკითხა სსრ კავშირის მიწსახკომის წყალთა მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. ზაურალსკიმ. მან დაასახელა წყალსატევთა მშენებლობის ფართოდ გაჩაღების საინტერესო ფაქტები. ამ წლის ზაფხულის თვეებში აგებულია 12.532 წყალსატევი და შეკეთებულია დაახლოებით 19 ათასი. ამჟამად მიმდინარეობს კიდევ 4.000-ზე მეტი წყალსატევის აგება და რემონტი. (საკდესი).

სამხედრო მეზღვაურთა სკოლა

ლენინგრადი, 26 სექტემბერი (საკდესი). სამხედრო-საზღვაო სასწავლებელთა კურსანტები სასწავლო ლაშქრობიდან დაბრუნდნენ. ისინი იყვნენ წითელდროშოვანი ბალტიკის ახალ ბაზებში—ტალინში, პალდისკში, ლიბავაში, ხანკოში. წელს სასწავლებლებს განსაზღვრული გემები მიამაგრეს. კურსანტები არა მარტო ითვისებდნენ პრაქტიკულად სასწავლებელში მიღებულ ცოდნას, არამედ ნაოსნობის ახალ რაიონებსაც ეცნობოდნენ. შავ ზღვაში კურსანტებმა მოიარეს ყველა საბჭოთა ნავსადგური. საინტერესო ნაოსნობა მოეწყო წყნარ ოკეანეშიც.

ხანგრძლივი სასწავლო ლაშქრობა მხოლოდ ნაწილია იმ ახალი საქმისა, რაც ამჟამად შეტანილია ფლოტის მომავალ მეთაურთა მომზადების სისტემაში. სასწავლებელში მისული ახალი შევსება ერთბაშად როდი დაჯდება აუდიტორიებსა და სასწავლო კაბინეტებში, როგორც ეს წინათ იყო. კურსანტები სამხედრო-საზღვაო საქმის წინასწარ სკოლას სპეციალურ ბაზაში გადიან.

აქ მოწყობილია ბოცმანთა სკოლა, სადაც პირველად ტარდება „საზღვაო პრაქტიკის ოსტატთა" მომზადების ცალკე სპეციალური პროგრამების მიხედვით. სკოლის კურსდამთავრებულნი 2-3 წელს გემებზე იმსახურებენ უმცროს მეთაურებად, რის შემდეგ ბოცმანის სახელწოდებას მიიღებენ.

ბოცმანთა სკოლასთან შექმნილია იუნგების როტა 16—18 წლის ჭაბუკთათვის. როტაში 2 წლის სწავლის შემდეგ იუნგები უმცროს მეთაურებად გაიგზავნებიან გემებზე.

ფლოტის მეთაურთა სკოლაში აღიზრდებიან სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული, ქარიშხალში ნაწრთობი, მტკიცე და გულადი მეზღვაურები.

მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო ცენტრი

ას წელზე მეტი ხნის წინათ ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში (ყირიმი) დაარსდა „მაგარაჩის მეღვინეობის საწარმო". მალე „მაგარაჩი" ჩვენი ქვეყნის მეღვინეობისა და მევენახეობის სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა. მრავალი ათეული წლის განმავლობაში იგი მთელ მსოფლიოში აგროვებდა და ჩვენს ქვეყანაში ავრცელებდა სხვადასხვა საუკეთესო ჯიშის ვაზს. მისმა მუშაობამ განსაკუთრებით დიდი გაქანება მიიღო საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

წელს „მაგარაჩი" რეორგანიზებულია სრულიად-საკავშირო მეღვინეობისა და მევენახეობის სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტად. მის შესანიშნავ მიღწევებს ფართოდ აჩვენებენ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ინსტიტუტის უმდიდრეს კოლექციაში არის 715 ჯიშის ყურძენი, რაც შეგროვებულია სსრ კავშირში, საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში, იტალიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში, აგრეთვე აზიაში, აფრიკასა და ამერიკაში. სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონები ყოველწლიურად იღებენ აქედან 150-300 ათას რქას თვითეული. ჰიბრიდიზაციის გზით გამოყვანილია ახალი ძვირფასი ჯიშები, რომლებიც ჩინებული ხარისხითა და უხვი მოსავლიანობით განირჩევიან. ინსტიტუტი ამზადებს 14-ტომიან კაპიტალურ ნაშრომს „ამპელოგრაფია სსრ კავშირში". იქ აღწერილი იქნება სსრ კავშირის მევენახეობის ყველა რაიონი და შიგა იმ 700 ჯიშის ყურძნის მონოგრაფია, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოჰყავთ. ამავე დროს შედგენილი იქნება „სსრ კავშირის მევენახეობის ატლასი".

დიდ მუშაობას ეწევა მეღვინეობის გაუმჯობესების ინსტიტუტი. ამ უკანასკნელ ხანს ათვისებულია შატო - იკემისა და ხერესის ღვინის ბუნებრივი მომზადების ტექნოლოგია. ამ ღვინოების უკვე მიღებული ნიმუშები თავისი ხარისხით უცხოეთის საუკეთესო ღვინოებს არ ჩამოუვარდება.

პარტიული აქტივი ეუფლება სამხედრო ცოდნას

თათბირი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომში

გუშინ, 27 სექტემბერს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომში შესდგა თათბირი პარტაქტივის მიერ სამხედრო ცოდნის დაუფლების საკითხებზე.

თათბირი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. გალუსტოვმა, რომელმაც დამსწრეთ გააცნო სესტრორეცკელი (ლენინგრადის ოლქი) პარტიული აქტივის გამოცდილება სამხედრო ცოდნის დაუფლების საქმეში.

გასულ ზაფხულზე საქ. კ. პ. (ბ) სესტრორეცკის საქალაქო კომიტეტის მუშაკებმა, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებმა და სამეურნეო მუშაკებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი სამხედრო ცოდნის დაუფლებას. მათ შეისწავლეს ტაქტიკა და ჯარის საცეცხლო მომზადების საკითხები, ტოპოგრაფია, საარტილერიო საქმე და სამხედრო მეცნიერების სხვა დისციპლინები.

თათბირზე დამსწრენი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ამ წინადადებას და გადასწყვიტეს შეუდგნენ სწავლას და საფუძვლიანად დაეუფლონ სამხედრო საქმეს სესტრორეცკელ კომუნისტების მაგალითის მიხედვით.

თათბირზე სიტყვებით, გამოვიდნენ ბატალიონის კომისარი ამხ. მ. შაპოვალოვი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგე ამხ. ა. ივანოვი და სხვ.

თათბირზე საორგანიზაციო საკითხების განხილვის შემდეგ გადაწყდა მოეწყოს სამთვიანი კურსები, სადაც პარტაქტივი იმეცადინებს საღამოობით წარმოებიდან მოუწყვეტლივ. ნავარაუდევია 200-საათიანი პროგრამის შესწავლა. კურსანტები შეისწავლიან ტაქტიკას, საცეცხლო მომზადების საქმეს, ტოპოგრაფიას, სამწყობრო, საარტილერიო, სამხედრო-საინჟინრო, საავიაციო საქმეს და ყველა სხვა დისციპლინებს.

კიროვის რაიპარტაქტივი მეცადინეობას იწყებს 1 ოქტომბრიდან.

ვიიპურის საქალაქო პარტკონფერენცია

ვიიპური, 26 სექტემბერი (საკდესი). გუშინ გაიხსნა პირველი საქალაქო პარტიული კონფერენცია.

ქალაქ ვიიპურში კარელია-ფინეთის სსრ კომუნისტური პარტიის ც. კ-ს ორგბიუროს მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა ორგბიუროს მდივანმა ამხ. სიდოროვმა. მომხსენებელმა კონფერენციას უამბო, თუ რა დიდი მუშაობა გასწიეს ვიიპურის პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა. აღდგენილია ქალაქის თითქმის ყველა სამრეწველო საწარმო. ამჟამად ისინი მთელი სიმძლავრით მუშაობენ. თამბაქოს ფაბრიკა ყოველდღიურად 1 მილიონ პაპიროსს ამზადებს, წინათ კი მხოლოდ 600 ათას ცალს ამზადებდა. აღდგენილია ასობით საცხოვრებელი სახლი, კომუნალური და კულტურული დაწესებულება. შეკეთებულია 13 კილომეტრი ტრამვაის ლიანდაგი. შეუფერხებლად მუშაობენ რკინიგზის კვანძი, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურები.

XII საჭადრაკო ტურნირი

მე-16 ტური

26 სექტემბერს სრულიად-საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მე-16 ტურში ბოლესლავსკიმ მოუგო კოტოვს. ვერესოვმა შავებით მოუგო დუბინინს. პეტროვ-პანოვის, ლისიცინ-ლილიენტალის, ბონდარევსკი—კონსტანტინოპოლსკისა და სმისლოვ-კერესის პარტიები ყაიმით დამთავრდა. გადაიდო ბოტვინიკ-ვერსტენფელდის, რუდაკოვსკი-მიკენასის, ლევენფიშ-მაკოგონოვისა და სტოლბერგ-რაგოზინის პარტიები. (საკდესი).

ბგერათმზომი პოლიგონი

მოსკოვი. სადგურ ხლებნიკოვოს მახლობლად დამთავრებულია ბგერათმზომი პოლიგონის მშენებლობა. მიწისზედა და მიწისქვეშა ლაბორატორიებში მთავრდება მოწყობილობის მონტაჟი. პოლიგონზე იწარმოებს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა საბჭოების სასახლის დიდ დარბაზში ხმის გადიდების პრობლემების გადასაჭრელად. (საკდესი).

სრულიად-საკავშირო ასტრონომიულ-გეოდეზური საზოგადოების განყოფილება თბილისში

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ასტრონომიული წრისა და ასტრონომიის კათედრის ინიციატივით ეწყობა სრულიად - საკავშირო ასტრონომიულ-გეოდეზური საზოგადოების საქალაქო განყოფილება. კათედრამ მიიღო სრულიად - საკავშირო ასტრონომიულ - გეოდეზური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის, ცნობილი საბჭოთა ასტრონომის პროფ. ა. ა. მიხაილოვის წერილი, რომელშიც იგი მიესალმება ამ წამოწყებას.

საზოგადოება მიზნად ისახავს ასტრონომიულ და გეოდეზურ ცოდნათა პოპულარიზაციას მშრომელთა ფართო მასებში. მისი უახლოესი ამოცანა იქნება მოსახლეობაში 1941 წლის 21 სექტემბრის მზის დაბნელების პოპულარიზაცია და ხელისშეწყობა მასზე დაკვირვებისათვის (საქდესი).

სოხუმი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამსვლელი სესიის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

ფოტო ტოლმაჩევისა.

მიწის რეფორმის დამთავრებისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება რიგაში

გუშინ საზეიმო კრება გაიმართა ლატვიაში მიწის რეფორმის დამთავრების აღსანიშნავად. პარტაქტივის სახლის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ მიწის მომწყობი კომიტეტებისა და სათემო სამმართველოების მუშაკები, მიწის მზომელები, მიწით დაკმაყოფილებული მშრომელი გლეხობის წარმომადგენლები.

კრება გახსნა მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ბლაუმ. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კალნბერზინზატისმა.

— ამ უკანასკნელ სამ თვეში უდიდესი ცვლილება მოხდა ლატვიის სოფელში, — ამბობს იგი ჩვენ აღარა გვყავან არც მემამულენი, არც კულაკები—„რუხი ბარონები". ჩვენი სოფელი ახლა მშრომელი გლეხობის სოფელია, სადაც საშუალო გლეხთა მეურნეობა სჭარბობს. ამის წყალობით ახალი ურთიერთობაც შეიქმნა: მოსპობილია იმის შესაძლებლობა, რომ სოფლის კულაკურ-მემამულურმა ზედაფენამ გლეხობას ექსპლუატაცია გაუწიოს. ბოლო მოეღო მშრომელი გლეხობის საშინელ გაჭირვებასა და სიღატაკეს. მშრომელ გლეხობას ამ საუკუნოვანი ოცნების განხორციელება შეეძლო მხოლოდ მუშათა კლასთან კავშირით. მხოლოდ კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით გახდა შესაძლებელი ეს მიღწევები, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო სწორედ გადაეწყვიტა აგრარული საკითხი, — ამბობს მთელი დარბაზის ტაშის გრიალში ამხ. კალნბერზინზატისი.

შეკრებილნი გულითადად შეხვდნენ დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პროფესორ კირხენშტეინსის, ლატვიის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. ლაცისის, მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. ი. ვანაგის გამოსვლას.

— მიწის რეფორმის გატარების შედეგად, — განაცხადა ამხ. ვანაგმა,—შეიქმნა 47.487 ახალი მეურნეობა, რომელთა საერთო ფართობიც 474.870 ჰექტარს შეადგენს. 22.882 მცირემიწიანმა მეურნეობამ მიიღო ჩამონაჭრები 75 ათასი ჰექტარის რაოდენობით. სახელმწიფო დაწესებულებათა და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გამოყოფილია 6.495 ნაკვეთი 29.068 ჰექტარის რაოდენობით.

დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი რიგის მაზრის იომპრავის თემის მიწისმზომლის ამხ. ბუნძისის გამოსვლა, რომელმაც რესპუბლიკაში პირველად დაამთავრა სამიწათმზომო სამუშაო. მოჯამაგირეებმა ამხ. კაულინშმა (სკრივერსკის თემი), ზემიტსმა (ლიუბავის თემი), და მიშკინმა (ლატგალია) თავიანთი თემების გლეხთა სახელით მიწის მიცემისათვის მხურვალე მადლობა გამოსთქვეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ლატვიის მთავრობისადმი.

მქუხარე ხანგრძლივ ოვაციაში კრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი დეპეშები ამხანაგ სტალინისადმი, მოლოტოვისა და კალინინისადმი (საკდესი).

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატში

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატში შეკითხვები შედის, აქვთ თუ არა მორიგი შვებულების მიღების უფლება იმ პირთ, რომელთაც სამუშაოს გაცდენისათვის შრომის გამასწორებელი მუშაობა მიესაჯათ. სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის განმარტებით ის პირნი, რომელთაც სამუშაოს გაცდენისათვის შრომის გამასწორებელი მუშაობა მიესაჯათ, მორიგი შვებულების უფლებით არ სარგებლობენ შრომის გამასწორებელი მუშაობის მოხდის ვადის განმავლობაში. (საკდესი).

აგარის ქარხანამ სამი ვაგონი შაქარი გამოუშვა

აგარა, 27 სექტემბერი (**„კომუნისტის" კორ.**). აგარის **ლ. პ. ბერიას** სახელობის შაქრის ქარხნის დანადგარები შეუფერხებლად მუშაობენ. მანქანით დაჭრილი შაქრის ჭარხლის რაოდენობამ 9.000 ცენტნერს მიაღწია.

26 და 27 სექტემბერს აგარის ქარხანამ სამი ვაგონი შაქარი გამოუშვა. გამოშვებული შაქრის რაოდენობა თანდათანობით მატულობს.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 27 სექტემბერი. გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობა იუწყება: გუშინ გერმანიის ავიაციის დიდი ძალები თავს დაესხნენ სამხედრო ობიექტებს სამხრეთ და შუა ინგლისში. ვულსტონში ძალიან დაზიანდა ანგარები და საავიაციო ქარხნების სხვა ნაგებობანი. შუა ინგლისის სხვა სამხედრო საწარმოებში ბევრ ადგილას დიდი ხანძარი გაჩნდა და მოხდა აფეთქება. საგრძნობლად დაზიანებულია საუტჰემპტონის სანავსადგურო ნაგებობანი და გაზის ქარხნები. ლივერპულის რაიონში ყუმბარები მოხვდა რაზმსა და მტრის სავაჭრო გემს. სამხედრო-საზღვაო ფლოტმა შორსმსროლელი ქვემეხები დაუშინა დუვრს. შოტლანდიის ნაპირებთან თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ბადრაგით მიმავალ გემების ქარავანს. ორ გემს ცეცხლი გაუჩნდა.

ღამით გერმანიის ავიაციის თავდასხმა მიმართული იყო უწინარეს ყოვლისა ლონდონის წინააღმდეგ. ავიაციამ ყუმბარა დაუშინა აგრეთვე სანავსადგურო ნაგებობებს ლივერპულსა და ბერკენხედში. ბევრ ადგილას დიდი ხანძარი გაჩნდა. გუშინ ღამით მტრის უმნიშვნელო საჰაერო ძალები თავს დაესხნენ ჰოლანდიას, ბელგიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთს.

ინგლისის ავიაციამ გუშინ 27 თვითმფრინავი დაჰკარგა. გერმანიის ექვსი თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა.

გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის ორი შეიარაღებული სავაჭრო გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 8.700 ტონას უდრის.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 27 სექტემბერი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ გერმანიის იმ თვითმფრინავთა უმეტესობა, რომლებიც გუშინ დილით მონაწილეობას იღებდნენ ოპერაციებში ინგლისის წინააღმდეგ, თითო-თითოდ მოქმედებდა. მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარა ჩამოჰყარეს ინგლისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ორ პუნქტში, რამაც ერთგვარი მატერიალური ზარალი მოგვაყენა და ადამიანის მსხვერპლი გამოიწვია. ლა-მანშის ნაპირას მდებარე ინგლისის ქალაქებზე თავდასხმისას ბომბარდირებამ ზარალი მოგვაყენა. არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

გუშინ ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა მტრის 19 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ინგლისის ავიაციამ ექვსი ავიაგამანადგურებელი დაჰკარგა. (საკდესი).

ინგლის-იტალიის ომი

იტალიის ცნობები

რომი, 27 სექტემბერი. იტალიის სარდლობის ცნობაში ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში ინგლისელებმა საჰაერო თავდასხმა მოახდინეს სოლუმზე. იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ხაიფას. ყუმბარები მოხვდა ნავთსადენის რეზერვუარებს, სამხედრო საწყობებს, რკინიგზისა და ნავსადგურის ნაგებობებს და წყალქვეშა ნავების სადგომს. იტალიის ყველა თვითმფრინავი ბაზაში დაბრუნდა.

აღმოსავლეთ აფრიკაში იტალიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა მტრის შეჯგუფებულ ჯარს გალაბატის დასავლეთით და მტრის ჯარის რაზმებს მდინარე ატბარასთან სუდანში. მტერმა მოახდინა საჰაერო თავდასხმა ერგეისაზე, ზერბერაზე, ჯიგ-ჯიგაზე, აგორდატსა და გურაზე. მეტემაზე ინგლისელების თავდასხმის დროს მოკლულ იქნა 6 და დაიჭრა 23 ადგილობრივი მოსახლე. ჩამოგდებულია ინგლისის ორი თვითმფრინავი.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 27 სექტემბერი. კაიროდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინწინ ინგლისის ყუმბარმშენთა დიდმა შენაერთმა წარმატებით დაუშინა ყუმბარა ტობრუკის ნავსადგურს, ყაზარმებს, სანაპირო შენობებს და შეჯგუფებულ ავტოტრანსპორტს. სანაპიროზე დიდი ხანძარი გაჩნდა. ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

ინგლისის თვითმფრინავები წარმატებით განაგრძობდნენ ოპერაციებს აღმოსავლეთ აფრიკაში და იტალიის სომალში. თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ასაბს, მაკაკას, ბერბერას. მეტემაში თვითმფრინავებმა მცირე სიმაღლიდან მიიტანეს იერიში მტრის თვითმფრინავებზე, რომლებიც მიწაზე იდგნენ.

იტალიის ავიაგამანადგურებლებს, რომლებიც თავს დაესხნენ მალტას, ჩვენი თვითმფრინავები დახვდნენ. იტალიის ერთი თვითმფრინავი ჩამოგდებულია. ფიქრობენ, რომ ჩამოგდებულია მეორე თვითმფრინავიც. (საკდესი).

შესწყდა გიბრალტარზე თავდასხმა

ლონდონი, 27 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, გუშინ ლიონის რადიოსადგურმა გადმოსცა, რომ, როგორც კი ინგლისის ესკადრამ შესწყვიტა დაკარზე იერიშების მიტანა, შესწყდა საფრანგეთის თვითმფრინავების თავდასხმა გიბრალტარზე.

ინგლისის პრესა დაკართან მომხდარი ამბების შესახებ

ლონდონი, 27 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის ბევრი გაზეთი მკაცრად აკრიტიკებს მთავრობის მოქმედებას დაკართან მომხდარი ამბების გამო. ვერნონ ბარტლეტი გაზეთ „ნიუს ქრონიკლში" სწერს: „სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ დე გოლის ექსპედიციის ჩაშლა სერიოზულ იმედგაცრუებას არ გამოიწვევს მოკავშირეთა ყველა მომხრეებს შორის, რომელთაც იმედი მიეცათ, რომ, ბოლოსდაბოლოს, მათი საქმე გამოკეთდა. დე გოლი დარწმუნებული იყო, რომ მას დასავლეთ აფრიკაში აღფრთოვანებით შეხვდებოდნენ. ინგლისის მთავრობამ მას გემები და ინგლისის სამხედრო ძალები დაახმარა. მაგრამ შეხვედრა ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც იგი მოელოდა. დე გოლის მომხრე ფრანგებმა თავიდანვე განაცხადეს, რომ ძათ არა სურთ ეომონ თავიანთ თანამემამულეებს. საექსპედიციო ძალების გადასხმა დაკართან — ძალიან გამაგრებულ პუნქტთან, რომელსაც ამასთანავე ახლახან მაშველი ძალები მიუვიდა საფრანგეთის სამხედრო გემების სახით, შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ ფართო სამხედრო ოპერაციების გაშლის გზით. გაუბედაობამ, რაც ოპერაციების დროს გამოიჩინეს, სერიოზულად დასცა დე გოლის ავტორიტეტი ფრანგებში და ზიანი მიაყენა ინგლისის პრესტიჟს".

ამგვარსავე კომენტარებს უკეთებენ დაკართან მომხდარ ამბებს „დეილი ჰერალდი" და „დეილი მეხლი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი კოლხიდისათვის

საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, კოლხიდმშენის მთელი კოლექტივი სერიოზულ მუშაობას აწარმოებენ კოლხიდის ამოშრობისა და ახალი მიწების ათვისებისათვის. ახალ კოლხიდაზე დასახლებული კოლმეურნეები ხარობენ უხვი მოსავლით. კოლხიდა—ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მხარე ხდება. სახელმწიფოს უკვე გადაეცა ექსპლოატაციისათვის 8.000 ჰექტარი დაშრობილი ფართობი. წელს კი ამოშრობილი იქნება 4.000 ჰექტარი. 1940 წელს კოლხიდის მშენებლობაზე დაიხარჯება 17 მილიონი მანეთი.

კოლხიდის ზონის კოლმეურნეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამ გრანდიოზულ სამუშაოებში. გაზეთ **„ახალი კოლხიდისათვის“** (ფოთი) 1940 წ. 15 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია კოლხიდის მშენებლობაში მონაწილე ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეთა მოწოდება კოლხიდის ზონის კოლმეურნეებისადმი. მოწოდებაში ნათქვამია: „ჩვენ, ზუგდიდის რაიონის 2.000 კოლმეურნე, მოვედით კოლხიდაში სამუშაოდ და გადაწყვეტილი გვაქვს კოლხიდმშენს შევუსრულოთ 250 ათასი მანეთის სამუშაო. ამ გადაწყვეტილების განხორციელებას უკვე შევუდექით.

ზუგდიდის რაიონის 2.000 კოლმეურნე გიწვევთ სოციალისტურ შეჯიბრებაში თქვენ: აბაშის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, ფოთის, ჩოხატაურის, წულუკიძის და სამტრედიის რაიონების კოლმეურნეებო“.

ზუგდიდელმა კოლმეურნეებმა იკისრეს სექტემბერში მაღალხარისხოვნად შეასრულონ კოლხიდაში 250 ათასი მანეთის სამუშაო, თვითეულმა კოლმეურნემ საშუალოდ დღეში დაამუშაოს 6 კუბური მეტრი მიწა და სხვ.

მუშაობის პირველი დღეების შედეგი საუცხოოა. ზუგდიდელი კოლმეურნეები თავდადებულად მუშაობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ზუგდიდელთა წინადადება კოლხიდის სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაზე—უსათუოდ მისასალმებელია.

ეჭვი არ არის, რომ ზუგდიდელთა ინიციატივა ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს და მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში ფართოდ ჩაებმებიან კოლხიდის ზონის რაიონების კოლმეურნეები და საქმით იბრძოლებენ ნაკისრ ვალდებულებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს

ტყიბული, (საქდესი). ტყიბულის რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს გადაჭარბებით. გეგმით გათვალისწინებული 600 ტონის ნაცვლად მოკრეფილია 620,3 ტონა. პირველი ხარისხის ფოთლის კრეფის გეგმა შესრულებულია 112 პროც.

ტყიბულის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს, რომ სეზონის დამლევამდე სახელმწიფოს დამატებით ჩააბარებენ 40 ტონა ფოთოლს.

მყნობის ახალი რეკორდი

(ლანჩხუთი, „კომუნისტის“ კორ.)

ლანჩხუთის რაიონის სოფ. წყალწმინდის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ვ. ხვედელიძემ ციტრუსოვანთა მყნობაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან ერთ დღეს 6.060 ძირი ციტრუსი დაამყნო, 11,35 შრომადღე გამოიმუშავა და დღიური დავალება 757 პროცენტით შეასრულა.

სოხუმის რაიონის, სოფ. გულრიპშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი კოლმეურნე ე. პ. კაკულია, რომელიც ნორმებს 110-120 პროც. ასრულებს.

ფოტო ტოლმაჩევისა.

უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თამბაქოს მოსავლის აღებას

(სოხუმი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის სხვა დარგთა შორის მეთამბაქოობის კულტურას უაღრესად საპატიო ადგილი უჭირავს. მიმდინარე წელს აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ ქვეყანას უნდა მისცეს 78.000.000 ზონარმეტრი თამბაქო, რაც მთელი საქართველოს სს რესპუბლიკის გეგმის ნახევარზე მეტს შეადგენს. ამ ფრიად სერიოზული ამოცანის შესრულება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. თამბაქოს მოსავლის აღებაში აფხაზეთი საგრძნობლად ჩამორჩა. 20 სექტემბრისათვის თამბაქოს შეტეხის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 49,3 პროცენტით.

ეს სამარცხვინო ჩამორჩენა აიხსნება იმითაც, რომ აფხაზეთის მთელ რიგ კოლმეურნეობებში წელს თამბაქოს დარგვა ძალიან დაგვიანებით დაიწყეს, აგრეთვე დროზე არ მოჰკიდეს ხელი პლანტაციების დამუშავებას, ვერ უზრუნველჰყვეს აგროწესების მტკიცედ დაცვა და შრომის სწორად მოწყობა.

მათ დაივიწყეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მითითება, რომ „თამბაქოს აღება უნდა სწარმოებდეს თამბაქოს სრული ტექნიკური სიმწიფის დროს ზუსტად იარუსების მიხედვით. დაშვებულ არ უნდა იქნას თამბაქოს გადამწიფება, აგრეთვე უმწიფარი ფოთლების მოკრეფა“.

სოფ. ბაბუშარის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ამჟამად თამბაქო მასობრივად შესატეხია. განსაკუთრებით იმ ფართობში, სადაც მეხუთე ბრიგადა არის მიმაგრებული, თამბაქო იწვის, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. აქ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თამბაქოს დახარისხებას, არასწორად აწარმოებენ ანემსვას. ბრიგადირი ლ. კალანდია უყურადღებოდ ეკიდება თავის მოვალეობას. მას ხავანგებში გამშრალი თამბაქო დროგამოშვებით არ გამოაქვს მზეზე, რის გამო თამბაქოს ობი ეკიდება და ფუჭდება.

უდარდელობას იჩენენ აგრეთვე სოფ. მცარის (გუდაუთის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ მე-2 და მე-3 ბრიგადის ხელმძღვანელები კ. პილოსიანი და შ. ექსუზიანი აღებულ თამბაქოს ცის ქვეშ სტოვებენ, არ შეაქვთ საშრობებში, რის გამო ეცემა თამბაქოს ხარისხი.

იმის გამო, რომ სოფ. ფსირცხის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში დროზე არ ჩაატარეს თოხნა და სარეველა მცენარეებით დაიფარა პლანტაციები, გაფუჭდა 3 ჰექტარი თამბაქო.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია შრომის დისციპლინა. ყველა კოლმეურნე როდი მუშაობს კეთილსინდისიერად, როდი იბრძვის შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის. არის იმის ფაქტები, რომ ზოგიერთი თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას, სწორედ მაშინ არ გამოდის სამუშაოდ, როცა მოსავლის აღების გაცხარებული დღეებია. მაგალითად, სოფ. პილენკოვოს (გაგრის რაიონი) კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში მთელი რიგი კოლმეურნეები 17 სექტემბერს სამუშაოზე მხოლოდ 12 საათიდან გავიდნენ, მაშინ, როდესაც აქ თამბაქო გადამწიფების გამო ფუჭდება. ამ კოლმეურნეობაში არასწორად აწარმოებენ თამბაქოს ანემსვას.

ანდრეევკის კოლმეურნეობა „პრიმერში“ (თავმჯდომარე — ჩილინგირიდი) 19 სექტემბერს 28 კაციდან ცუდი ამინდის მომიზეზებით არცერთი კაცი არ გამოსულა სამუშაოზე, ნამდვილად კი ამ დღეს საუკეთესო ამინდი იყო საშრობებში თამბაქოს დასაცალებლად.

ამ კოლმეურნეობაში უდარდელად ეკიდებიან ცეცხლსაშრობების მშენებლობის საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობამ მიიღო ავანსი, და ყოველგვარი საშენი მასალა, მშენებლობა მაინც არ დაუწყიათ. შეკითხვაზე, თუ რა აფერხებს ცეცხლსაშრობის მშენებლობას, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჩილინგირიდმა განაცხადა: „კალატოზები ვერ ვიშოვნეთო“. განა ეს გულწრფელი განცხადებაა? არავითარ შემთხვევაში.

სოფ. კელასურის (მაჯარის სოფლსაბჭო) ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში არ იცავენ თამბაქოს შეტეხის ვადებს. 20 სექტემბერს დილით შეტეხა არ ჩაუტარებიათ, მიუხედავად იმისა, რომ თამბაქო გადამწიფებულია და იწვის. პლანტაციები დაფარულია სარეველა ბალახებით. არ აწარმოებენ თამბაქოს ყვავილების წატეხას. მე-6 და მე-7 ბრიგადის საწყობები შეუკედლავია.

თამბაქოს მოსავლის აღებაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება სოხუმის რაიონი. 20 სექტემბრისათვის რაიონს წლიური გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 50,8 პროცენტით. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში თამბაქოს უხვი მოსავალი შეუტეხაობის გამო ფუჭდება. დროზე აუღებლობის გამო კოლმეურნეობა „ისკრა რევოლუციაში“ (გუმისთი) მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზიანდა თამბაქოს ფოთოლი. დაუშვებელი ნელი ტემპით აწარმოებენ თამბაქოს მოსავლის აღებას კოლმეურნეობა „წითელ ორტაპატაში“ (ეკატერინოვკა) და კოლმეურნეობა „ორდენოსნაია აფხაზიაში“ (კონსტანტინოვკა). განსაკუთრებით ცუდად არის თამბაქოს მოსავლის აღების საქმე ოჩამჩირის რაიონში.

მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები და სამიწათმოქმედო ორგანოები ჯერ კიდევ მთელი სერიოზულობით არ ეკიდებიან თამბაქოს მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების საქმეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მიწსახკომის არაოპერატიული ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისადმი. ამას ისიც მოწმობს, რომ აფხაზეთის მთელი რიგი კოლმეურნეობები დღემდე უზრუნველყოფილი არ არიან აგრონომებით და აგრონომების მაგივრად აგროტექნიკოსები მუშაობენ. განა ამას უწოდებს აფხაზეთის მიწსახკომი ოპერატიულ ხელმძღვანელობას?

ამოცანა ის არის, რომ სასწრაფოდ გამოვასწოროთ სამარცხვინო ჩამორჩენა თამბაქოს მოსავლის აღებაში. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის დავალება, სახელმწიფოს დროზე და უდანაკარგოდ ჩავაბაროთ გეგმით გათვალისწინებული თამბაქო ხარისხის მტკიცედ დაცვით.

ვ. ალიძე

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 26 სექტემბერი. უმაღლესი სარდლობის ცნობაში ნათქვამია, რომ გერმანიის ავიაცია კვლავ ესხმოდა თავს სამხრეთ ინგლისსა და ლონდონს. წარმატებით დაუშინეს ყუმბარა ფილტონის სამხედრო ქარხანას. პლიმუტში და პორტლენდისა და საუთენდის მიდამოებში დიდად დაზიანდნენ სანავსადგურო ნაგებობანი და დოკები. ყუმბარები მოხვდა პლიმუტის ნავსადგურში მდგომ სამხედრო გემსა და სამხედრო ბანაკს დანჯენესთან. გერმანიის ავიაციამ შესძლო სამხრეთ ინგლისის ბევრ ქალაქში დაენგრია ფაბრიკები, სხვადასხვა ნაგებობანი და საწყობები. ღამის განმავლობაში ლონდონის რაიონში, ტემზის ორივე ნაპირზე დიდი ყალიბის ყუმბარები დაუყარეთ სამხედრო ქარხნებს, სანავსადგურო ნაგებობებს, დოკებსა და საწყობებს. ბევრგან აფეთქება მოხდა.

მტერი კვლავ განაგრძობდა გერმანიის სამოქალაქო მოსახლეობაზე იერიშების მიტანას. სამხედრო ობიექტები არ დაზარალებულა, მაგრამ მოსახლეობაში არის რამდენიმე მოკლული და დაჭრილი.

ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს დედაქალაქზე, მაგრამ მათ წარმატება არა ჰქონიათ. დანგრეულია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და ბაღა.

გუშინ მტერმა 10 მანქანა დაჰკარგა. გერმანიის 6 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა. მცირე წყალქვეშა ნავმა ჩასძირა 4 გემი, მათ შორის ერთი ტანკერი, რომელთა საერთო წყალწყვა 25.000 სარეგისტრო ბრუტო-ტონას უდრის. (საქდესი).

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 26 სექტემბერი (საქდესი). ოფიციალურად ქვეყნდება, რომ გუშინ მოსპობილ იქნა გერმანიის 18 თვითმფრინავი, მათ შორის 13 ყუმბარმშენი. ინგლისის ავიაციამ 5 გამანადგურებელი დაჰკარგა, სამი ინგლისელი მფრინავი გადარჩა.

ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკე

ლონდონი, 26 სექტემბერი (საქდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო თავის კომუნიკეში იუწყება, რომ 25 სექტემბერს, ღამით, ინგლისის ყუმბარმშენთა დიდი ძალები თავს დაესხნენ სამხედრო ობიექტებს ბერლინში და კილის არხის რაიონში და ბაზებს მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, საიდანაც ინგლისზე თავდასხმა მზადდება.

გერმანიის ავიაცია განაგრძობდა თავდასხმას ინგლისზე. თუმცა ყუმბარები ინგლისისა და სამხრეთ უელსის ბევრ რაიონში ჩამოჰყარეს, მაგრამ ყველაზე ძლიერი იერიში განიცადეს ლონდონის გარეუბნებმა და ირგვლივ მდებარე რაიონებმა. ლონდონის სხვადასხვა ადგილას გაჩნდა ხანძარი, რაც მალე ჩაქრობილ იქნა. ლონდონის ბევრ ნაწილში ჩამოყრილი ყუმბარები პირდაპირ მოხვდა, აფეთქდა და დააზიანა საცხოვრებელი და სხვა შენობები. არიან დაჭრილნი და მოკლულნი, მაგრამ მსხვერპლის ზუსტი რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია.

მტერმა მრავალი ყუმბარა ჩამოჰყარა სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში. ბომბარდირებამ მცირე მატერიალური ზარალი გამოიწვია. დაჭრილთა რიცხვი დიდი არ არის. ყუმბარები ჩამოჰყარეს აგრეთვე ჩრდილო - დასავლეთ ინგლისის სხვადასხვა ქალაქებში. ყუმბარების აფეთქების გამო ზოგან გაჩნდა ხანძარი, რაც მალე ჩაქრობილ იქნა. ინგლისის სხვა ნაწილებში და სამხრეთ უელსში ყუმბარები ჩამოჰყარეს ერთმანეთისაგან ერთობ დაშორებულ რაიონებში. მსხვერპლის რიცხვი უმნიშვნელოა. მატერიალური ზარალიც დიდი არ არის.

გუშინ საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულია მტრის 26 თვითმფრინავი. მათგან 22 თვითმფრინავი ჩამოაგდეს ავიაგამანადგურებლებმა და 4—საზენიტო არტილერიამ.

ინგლისის ავიაციამ 4 თვითმფრინავი დაჰკარგა. სამი თვითმფრინავის მფრინავები გადარჩნენ.

ლონდონი, 26 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო აქვეყნებს ავიაციის სამინისტროს კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ 25 სექტემბერს, ღამით, ინგლისის ყუმბარმშენმა ავიაციამ ფართო ოპერაციები დაიწყო მტრის სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ გერმანიის ტერიტორიაზე, აგრეთვე ლა-მანშის იმ ნავსადგურების წინააღმდეგ, რომლებიც მტრის კონტროლის ქვეშ იმყოფებიან.

ბერლინში ჩვენმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ძალსადგურებს, რკინიგზის კომუნიკაციებს, აგრეთვე ბერლინის მთავარ აეროდრომს ტემპელჰოფს. ინგლისის თვითმფრინავთა შენაერთები კვლავ დაესხნენ თავს კილის დოკებს. ბომბარდირების შედეგად დაზიანდნენ საქონლის საწყობები ოსნაბრიუკში, ერანგში, ჰამში, მანჰაიმსა და ჰანოვერში. გარდა ამისა, ჩვენი ავიაცია თავს დაესხა ანტვერპენის, ფლისინგენის, ოსტენდის, დიუნკერკის, კალესა და ბულონის გემებს, კარჭაპებს, საწყობებსა და ნავსაყუდლებს. ინგლისის სანაპირო ავიაციის თვითმფრინავებმა გუშინ ჩამოაგდეს მტრის ერთი ყუმბარმშენი. ღამის ოპერაციების დროს სანაპირო ავიაციის თვითმფრინავები ყუმბარებს უშენდნენ ნავთსასხმელ გემებს ბრესტის რაიონში (საფრანგეთი). გემებზე ხანძარი გაჩნდა. ბომბარდირებამ ბრესტის ნავსადგურში მყოფ სხვა გემებსაც დიდი ზარალი მიაყენა.

ინგლისის სამხედრო მომარაგების მინისტრ მორისონის განცხადება

ლონდონი, 26 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის სამხედრო მომარაგების მინისტრ მორისონის განცხადებას, სადაც ნათქვამია, რომ „გერმანიის ცდა ჩაეშალა ინგლისის სამხედრო მრეწველობის მუშაობა, დღემდე წარმატებით არ დაგვირგვინებულა. ზოგიერთ გამონაკლისს გარდა, მატერიალური ზარალი, რაც ინგლისის სამხედრო საწარმოებს გერმანიის ავიაციის ოპერაციებმა მიაყენა, გაცილებით ნაკლებია იმაზე, რასაც მტერი მოელოდა ინგლისის წინააღმდეგ საჰაერო ოპერაციების დაწყების დროს“. მორისონმა აღნიშნა, რომ ეს ერთი ხანია ინგლისის სამხედრო საწარმოებში შემოღებულია ახალი სისტემა, რომლის თანახმად, საწარმოები საჰაერო განგაშის დროსაც კი განაგრძობენ მუშაობას, თუ ამასთანავე მტრის თავდასხმის უშუალო საშიშროება არ არის.

საფრანგეთის ყოფილ სახელმწიფო მოღვაწეთა დაპატიმრება

ლიონი, 26 სექტემბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საფრანგეთში ახალ-ახალი დაპატიმრება მოხდა. დაპატიმრებული არიან შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი დორმუა, ფინანსთა ყოფილი მინისტრი ვენსენ ორიოლი, მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჟიულ მოკი და დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე გრუმბახი. ყველანი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან პელევუაზენში (ენდრის დეპარტამენტში).

ტერბოვენის განცხადება ნორვეგიაში ახალი პოლიტიკური წესრიგის შექმნის შესახებ

ოსლო, 26 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის მთავრობის კომისარმა ნორვეგიაში ტერბოვენმა გუშინ რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა, სადაც განაცხადა, რომ ნორვეგიის ყველა პოლიტიკური პარტია, გარდა კვისლინგის პარტიისა, დაშლილია და რომ ადმინისტრაციული საბჭოს ნაცვლად შექმნილია სახელმწიფო საბჭო 13 კაცის შემადგენლობით, რომელთა უმეტესობა კვისლინგის პარტიის წევრია.

პრესის შეფის ცნობით, კვისლინგი „ნაციონალური მოძრაობის“ ბელადად გამოცხადდა. სახელმწიფო საბჭოს საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ექნება. საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხს გერმანიის ხელისუფლება გადასწყვეტს. სტორტინგი გამოცხადებულია დათხოვნილად. მეფეს ტახტი ჩამოერთვა.

ინგლის-იტალიის ომი

რომი, 26 სექტემბერი (საქდესი). იტალიის სარდლობა იუწყება: „ჩრდილოეთ აფრიკაში ჩვენი ავიაცია, ღამით, თავს დაესხა ედ-დაბის აეროდრომს. მტერმა ტობრუკის ბომბარდირება განაახლა. ჩვენი თავდაცვის სწრაფმა საპასუხო მოქმედებამ ხელი შეუშალა ამ ბომბარდირებას. ჩამოგდებულია მტრის 4 თვითმფრინავი. დაზიანებულია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და ჰოსპიტალი. მოკლულია 5 კაცი და დაჭრილია 10.

მეწამულ ზღვაში ჩვენმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა გემთა ქარავანს. ადენში ჩამოგდებულია მტრის ერთი თვითმფრინავი. იტალიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მტრის თავდაცვითს პოზიციებს ოტრუბის მახლობლად (სუდანი). მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარები დააყარეს გურასა და სოლოლოს (კენია).

იონიის ზღვაში მტრის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა იტალიის ნაღმოსანი. ეკიპაჟის მეტი ნაწილი გადარჩენილია“.

ლონდონი, 26 სექტემბერი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ დილაადრიან სამხედრო-საზღვაო ფლოტის შენაერთებმა კვლავ წარმატებით მიიტანეს იერიში სიდი-ბარანის რაიონის მთელ რიგ ობიექტებზე, მრავალ ადგილას გაჩნდა დიდი ხანძარი, რასაც თან ახლდა ძლიერი აფეთქება.

დაკართან საომარი მოქმედების გამო

ლონდონი, 26 სექტემბერი (საქდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრომ დაკართან წარმოებული ოპერაციების შესახებ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც შემდეგს აცხადებს: გენერალ დე გოლს საკმარისი საფუძველი ჰქონდა ეფიქრნა, რომ სენეგალის ფრანგი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს დაუჭერდა იმ მოძრაობას, რომელსაც დე გოლი მეთაურობს, და მის იქ ჩასვლას მიესალმებოდა. აქედან გამოტანილ იქნა დასკვნა, რომ სენეგალში ისეთივე რეჟიმის დამყარება შეიძლება, როგორიც საფრანგეთის ეკვატორიულ აფრიკაში არსებობს. ამასთან დაკავშირებით, დე გოლმა ინგლისის მთავრობას განუცხადა, რომ განზრახული აქვს თავისი ჯარითურთ დაკარში წასვლა. ინგლისის მთავრობა მზად იყო გენერალ დე გოლისათვის ეს დახმარება გაეწია მით უფრო, რომ, მიღებული ცნობებით, გერმანელები დაკარში დამკვიდრებას ცდილობენ.

23 სექტემბერს, დილით, გენერალ დე გოლის წარმომადგენლებმა სცადეს დაკარში შესვლა, მაგრამ მათ მტრულად შეხვდნენ, სროლა აუტეხეს და სერიოზულადაც კი დასჭრეს. დაკარის ნავსადგურის სანაპირო ბატარეებმა ცეცხლი დაუშინეს გენერალ დე გოლის სამხედრო ხომალდებსა და ინგლისის სამხედრო ხომალდებს, რომლებიც იქ იდგნენ, რათა საჭირო შემთხვევის დროს გენერალ დე გოლისათვის დახმარება გაეწიათ. ვიდრე საფრანგეთის ბატარეების ცეცხლს უპასუხებდა, ინგლისის ესკადრის სარდალმა გარკვეული ნიშანი მისცა: „თუ ცეცხლს არ შეწყვეტთ, იძულებული ვიქნებით სროლითვე გიპასუხოთ“. რადგანაც სანაპირო ბატარეებმა ცეცხლი არ შესწყვიტეს, ინგლისის ხომალდებმა, თავის მხრივ, სროლა ასტეხეს. ორივე მხარე დაზიანდა და პირადი შემადგენლობის ზარალი მოუვიდა. სანაპირო ბატარეის ცეცხლს დაეხმარა საფრანგეთის სახაზო გემის „რიშელიეს“ არტილერია. ინგლისის გემებმა მასაც დაუშინეს. ინგლისის ესკადრის სარდალმა საფრანგეთის ხელისუფალნი გააფრთხილა: თუ საფრანგეთის წყალქვეშა ნავები ნავსადგურის ფარგლებს გამოსცილდნენ, მათ მოვსპობთო. მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, საფრანგეთის სამმა წყალქვეშა ნავმა იერიში მიიტანა ინგლისის სამხედრო გემებზე. მათ წინააღმდეგ მიღებულ იქნა ზომები და ორი მათგანი ჩაძირულია. ერთი წყალქვეშა ნავის ეკიპაჟი გადარჩენილია და რეპატრიირებულ იქნება პირველ შესაძლებლობისთანავე. გენერალ დე გოლის ჯარი ცდილობდა ნაპირზე გადასულიყო, მაგრამ ამ ცდას წარმატება ვერ მოჰყვა. როცა სრულიად აშკარად გამოირკვა, რომ დაკარის დაკავება მხოლოდ დიდი სამხედრო ოპერაციებით შეიძლება, გადასწყდა საომარი მოქმედების შეწყვეტა. შეიარაღებული ძალები, რომლებიც ამ ოპერაციაში მონაწილეობდნენ ამჟამად გაჰყავთ დაკარის რაიონიდან.

საფრანგეთის დასავლეთი აფრიკა

(ცნობა)

როგორც უცხოეთის პრესის ცნობებიდან სჩანს, დაკარის ამბები მხოლოდ დასაწყისია ინგლისის ბრძოლისა იმისათვის, რომ ხელში ჩაიგდოს საფრანგეთის დასავლეთი აფრიკა.

○

საფრანგეთის დასავლეთი აფრიკა დაპყრობილ იქნა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. საფრანგეთის პირველი სამხედრო ექსპედიცია საფრანგეთის დასავლეთ აფრიკაში მოეწყო უკვე 1854 წელს, 1858 წელს დაპყრობილ იქნა სენეგალი, 1893 წელს—დაგომეა, 1898 წელს—დასავლეთი სუდანი, 1909 წელს—მავრიტანია.

საფრანგეთის დასავლეთ აფრიკას ჩრდილოეთით ესაზღვრება საჰარის უდაბნო, სამხრეთით ეკვრის ატლანტის ოკეანის გვინეის ყურე, დასავლეთით საზღვრავს ესპანეთის კოლონია რიოდ დე ორო და ეკვრის ატლანტის ოკეანე, აღმოსავლეთით—იტალიის ლიბია, საფრანგეთის ეკვატორიული აფრიკა და ინგლისის ნიგერია.

საფრანგეთის დასავლეთ აფრიკაში შედის საფრანგეთის 8 კოლონია: 1) **დაკარი**—158 კვადრატული კილომეტრი, 2) **სენეგალი**—201 ათასი კვადრატული კილომეტრი, 3) **მავრიტანია** — 835 ათასი კვადრატული კილომეტრი, 4) **საფრანგეთის გვინეა** — 251 ათასი კვადრატული კილომეტრი, 5) **სპილოს ძვლის ნაპირი** — 324 ათასი კვადრატული კილომეტრი, 6) **დაგომეა** — 122 ათასი კვადრატული კილომეტრი, 7) **საფრანგეთის სუდანი**—1,5 მილიონი კვადრატული კილომეტრი, 8) **ნიგერია** — დაახლოებით 1,3 მილიონი კვადრატული კილომეტრი.

საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის საერთო ფართობი 4,6 მილიონ კვადრატულ კილომეტრს აღწევს.

სასარგებლო მთამადნეული ძალზე სუსტად არის გამოკვლეული. ოქროს საბადოები მოიპოვება სუდანში, გვინეასა და მდინარე ვოლტის ზემო წელში. არის რკინის მადანი, კალა, კაოლინი, ტიტანიანი ქვიშა, ქვამარილი.

საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის **მოსახლეობა** 1931 წლის აღწერის მიხედვით 14,6 მილიონ კაცს აღწევს. მათ შორის: ფრანგები არიან—83,2 ათასი კაცი, დანარჩენი ევროპელები—6,7 ათასი კაცი. საშუალო სიხშირე—1 კვადრატულ კილომეტრზე 3,1 კაცს შეადგენს.

მოსახლეობა შესდგება სუდანის ზანგთა სხვადასხვა ტომებისაგან, პელეი (ფულა ან ფულბე) ხალხისაგან, მავრების, თუარეგებისა და სხვა ტომებისაგან.

მთავარი ქალაქებია: **დაკარი** — 42 ათასი მცხ., საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის ადმინისტრაციული ცენტრი და ნავსადგური, **სენ-ლუი** — სენეგალის ცენტრი—30 ათასი მცხ., **პორტო-ნოვო**— დაგომეას ცენტრი — 27 ათასამდე მცხ., **ბამაკო** — სუდანის ცენტრი — 20 ათასი მცხ., **გრან-ბასამი**—ნავსადგური, სპილოს ძვლის ნაპირი, **ვიქტორია**—გვინეის ნავსადგური, **დიურდელი** — 15 ათასი მცხ., **უიდა**—14 ათასი მცხ., **რუფისკი**— 15 ათასი მცხოვრებით.

საფრანგეთის დასავლეთი აფრიკა საფრანგეთის ერთერთი ეკონომიურად ყველაზე ნაკლებად განვითარებული კოლონია არის. დაახლოებით მოსახლეობის 80 პროცენტი მისდევს მიწათმოქმედებასა და სატყეო მეურნეობას. 20 პროცენტი — მესაქონლეობას. სოფლისა და სატყეო მეურნეობას პრიმიტიულად ეწევიან. სოფლის მეურნეობა უმთავრესად სპეციალიზებულია მიწის თხილის—არახისისა, კაკაოსა და ხილის მოყვანაზე და პალმის ზეთის დამზადებაზე. ღირებულებითი გამოხატულებით ეს პროდუქტები მთელი ექსპორტის დიდ ნაწილს შეადგენენ. არახისს უკავია 960 ათასი ჰექტარი, ყოველწლიური მოსავალი 500 ათას ტონას აღემატება. 1936 წელს არახისის მოსავალი 8.900 ათას ცენტნერს უდრიდა, არახისი სენეგალში, საფრანგეთის სუდანსა და ნაწილობრივ ნიგერიაში მოჰყავთ. პალმის მეურნეობას (სპილოს ძვლის ნაპირი, დაგომეა) 912 ათასი ჰექტარი უკავია. კაკაოს პლანტაციები გავრცელებულია სპილოს ძვლის ნაპირზე, ყავის პლანტაციები—სპილოს ძვლის ნაპირზე, გვინეასა და დაგომეაში. ბრინჯის ნათესებს დაახლოებით 1 მილიონი ჰექტარი უკავია. მოსავალი 1936 წელს 4.130 ათას ცენტნერს უდრიდა. ბამბის ნათესებს (საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის ცენტრალური ნაწილი) უკავია 206 ათასი ჰექტარი. სხვა სახის სასოფლო სამეურნეო კულტურათაგან უნდა აღინიშნოს ბანანი, სორგო, სიმინდი, მანიოკი, რომლებსაც უმთავრესად ადგილობრივ ხმარობენ.

მესაქონლეობა. პირუტყვის სულადობა შეადგენს 18,4 მილიონს. აქედან: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი—4,2 მილიონი სული, ცხვარი და თხა—13,5 მილიონი სული, ვირი—0,5 მილიონი სული, ცხენი—0,2 მილიონი სული.

სატყეო მეურნეობა. — კაუჩუკის ხეები ყოველწლიურად 2 ათას ტონა კაუჩუკს იძლევა, ხე-ტყის დამუშავება იძლევა სამშენებლო მერქანსა და სხვა ძვირფასი ჯიშის ხის მასალას. სწარმოებს ფისის (არაბული წებო, კოპალი) მოპოვება.

მრეწველობა. მომპოვებელი მრეწველობა კმაყოფილდება ოქროს საბადოთა ექსპლოატაციით, რაც ყოველწლიურად 200 კილოგრამ ოქროს იძლევა. მკვიდრნი პრიმიტიული წესით მცირე რაოდენობით იღებენ რკინის მადანსა და ქვამარილს ადგილობრივი საჭიროებისათვის.

დამმუშავებელ მრეწველობას აქვს რამდენიმე ზეთსახდელი ქარხანა, სელის დამმუშავებელი ფაბრიკა, ბამბის საწმენდი და საპნის ქარხნები, რამდენიმე ხე-ტყის სახერხი ქარხანა და სხვ. მკვიდრთა შინამრეწველური წარმოება — ფეიქრობა, მჭედლობა, მეთუნეობა, ჭილობის კეთება და სხვ.

ტრანსპორტი. რკინიგზის ქსელი 3,8 ათას კილომეტრს აღწევს. მთელი რკინიგზა სახელმწიფოს ეკუთვნის. გზატკეცილების ქსელი 60 ათასი კილომეტრია. 1939 წლის დასაწყისში იქ 15.000 ავტომობილი (მსუბუქი, სატვირთო და ავტობუსი) და 1265 მოტოციკლი იყო.

შიდა წყლებზე მიმოსვლა მოწყობილია მდინარე სენეგალსა და ნიგერზე. გემთა რეგულარული მიმოსვლა საფრანგეთის დასავლეთ აფრიკას ევროპასთან და სხვა ქვეყნებთან აკავშირებს. მთავარი ნავსადგურებია: **დაკარი,** (გამართულია სანაპიროები, საწყობები, მისადგომი გზები და სხვ.), **კოლაკი, კანაკრი, სენ - ლუი, ბუკოტანუ** და სხვ. საჰაერო საფოსტო ხაზი დაკარსა და საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის სხვა ქალაქებს აკავშირებს მაროკოსთან და საფრანგეთთან. საფრანგეთის დასავლეთ აფრიკაში 21 აეროდრომი და 221 ძირდასაშვები მოედანია.

საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის ტერიტორია ადმინისტრაციულად დაყოფილია რვა კოლონიად: სენეგალი, გვინეა, სპილოს ძვლის ნაპირი, დაგომეა, სუდანი, მავრიტანია, ნიგერია და ქალაქი დაკარი მისი მომიჯნავე რაიონებითურთ.

საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის სათავეში სდგას გენერალ-გუბერნატორი. გენერალ-გუბერნატორის რეზიდენცია არის ქალ. დაკარში.

საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სისტემაში საფრანგეთის დასავლეთი აფრიკა დიდ როლს ასრულებდა. იგი მეტროპოლიისათვის ფერადი ჯარისკაცების მნიშვნელოვანი მიმწოდებელი იყო.

საფრანგეთის დასავლეთი აფრიკა იმ კოლონიათა ჯგუფში შედის, „რომელნიც უნდა დაცულ იქნან“. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კოლონიებმა, თუ ისინი ომის დროს მეტროპოლიას მოსწყვიტეს, დამოუკიდებლად უნდა დაიცვან თავი იმ ქვეყნისაგან, რომელსაც საფრანგეთი ეომება. დაკარი სამხედრო ნავსადგურია. მას ომის დროს სამხედრო გემების ბაზად იყენებენ.

თანამედროვე პირობებში საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის, განსაკუთრებით კი მისი იმ ნაწილის სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც ატლანტის ოკეანეს ეკვრის, მეტად დიდია. იმ პირობებში, როდესაც ხმელთაშუა ზღვის გზები ინგლისისათვის სერიოზულ საფრთხეში აღმოჩნდა, აფრიკის გარშემო საზღვაო გზების კონტროლის უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დაკარში ინგლისის ბატონობის დამყარება მთელ რიგ უპირატესობას შეუქმნიდა ინგლისს მისი საზღვაო კომუნიკაციებისა და აფრიკაში არსებული კომუნიკაციების უზრუნველყოფის საქმეში.

ის დიდი ინტერესი, რომლითაც დაკარის ამბებს ეპყრობა არა მარტო ინგლისი, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებიც, იმითაც აიხსნება, რომ საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის სანაპირო მდებარეობს ევროპიდან ბრაზილიასა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში მიმავალ საზღვაო გზებზე. ამიტომ აქ ამათუიმ მეომარი ქვეყნის ბატონობის დამყარება ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებსაც შეეხება, შეერთებული შტატებისას, რომლებიც ცდილობენ მაქსიმალურად გააძლიერონ თავიანთი პოზიციები სამხრეთ ამერიკაში.

დასასრულ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ დაკარის ნავსადგური ომამდე უდიდესი სადგური იყო უმნიშვნელოვანეს ტრანსატლანტის საჰაერო ხაზზე, რომელიც ევროპას აკავშირებს ბრაზილიასა და სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებთან. თანამედროვე პირობებში, როდესაც საომარი მოქმედების აფრიკის ასპარეზი უფროდაუფრო ფართოვდება განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის დასავლეთ აფრიკაში დიდძალი აეროდრომების არსებობასაც.

25 სექტემბერი.

დ ა კ ა რ ი

(ცნობა)

დაკარი საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის საზღვაო ნავსადგური და მთავარი ქალაქია. ეს ნავსადგური, რომელიც მწვანე კონცხზე (აფრიკის უკიდურესი დასავლეთი პუნქტი) მდებარეობს, გაბატონებულია დასავლეთ ევროპასა და სამხრეთ ამერიკას შორის (ბრაზილია, არგენტინა) მდებარე გზაზე.

ხელოვნური ნავსადგური დაკარში ააგეს 1904-08 წლებში, მას აქვს ორი ჯებირი (6.840 და 1.968 ფუტი სიგრძისა). ნავსადგურის შესასვლელის სიგანე 720 ფუტია. დაკარში არის სამი სავაჭრო დოკი 7.000 ფუტიანი მისაყენებელი ხაზით ოკეანის გემების გასაჩერებლად. გემებიდან ტვირთი უშუალოდ ვაგონებში და ფართო სასაწყობო სადგომებში გადაიტვირთება. გარდა ამისა, დაკარის ნავსადგურს აქვს სამხედრო-საზღვაო დოკი და არსენალი 755×400 ფუტიანი აუზით და 656×92 ფუტიანი ერთი მშრალი დოკი.

დაკარს იყენებენ ქვანახშირისა და სურსათის ბაზად ევროპასა და სამხრეთ ამერიკას შორის წარმოებული ნაოსნობისათვის, რასაც საფრანგეთისა და ინგლისის საზღვაოსნო კომპანიები ახორციელებენ.

ქალაქი დაკარი დაარსდა 1862 წელს, მის ირგვლივ მდებარე ოლქზე საფრანგეთის პროტექტორატის გამოცხადებიდან ერთი წლის შემდეგ. დაკარის მნიშვნელობა განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა 1885 წლიდან, როდესაც დაიწყო რკინიგზის მშენებლობა, რომელიც დაკარს აკავშირებს სენ-ლუისთან და დასავლეთ აფრიკის შიდა ოლქებთან. 1905 წელს ბრესტსა და დაკარს შორის გაყვანილ იქნა საზღვაო კაბელი.

25 სექტემბერი.

გიბრალტარის ახალი ბომბარდირება

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის თვითმფრინავებმა, რომლებიც საფრანგეთის მაროკოდან ჩაფრინდნენ, გუშინ განაახლეს გიბრალტარის არსენალისა და სხვა პუნქტების ბომბარდირება. სხვადასხვა ადგილას გაჩნდა ხანძარი.

(საქდესი).

იუნაიტედ პრესის სააგენტო დაკარში ინგლისელების მოქმედების შესახებ

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, დაკარის ალყის მოხსნა ინგლისისათვის ისეთივე დამარცხებაა, როგორიც იყო ნორვეგიიდან ინგლისის ჯარის გაყვანა. ეს გარემოება, როგორც სჩანს, შეამცირებს ინგლისის იმედს, რაც იმაზე იყო დამყარებული, რომ საფრანგეთის იმპერიის სხვა ნაწილებში მხარს დაუჭერენო და გააძლიერებს ანტიინგლისურ განწყობილებას საფრანგეთში. ლონდონში წინასწარმეტყველებენ, რომ დე გოლმა შესაძლოა დაჰკარგოს თავისი პოსტი, ვინაიდან ინგლისის ოფიციალურ განცხადებაში ნათლად არის ნათქვამი, ექსპედიცია დაკარში დე გოლის წინადადებით იყო მოწყობილი.

ნაციონალური გვარდიის დამატებითი მობილიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 26 სექტემბერი (საქდესი). თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ რუზველტმა დამატებით გაიწვია ნაციონალური გვარდიის 35.700 კაცი, რათა სამხედრო მზადება გაიარონ ერთი წლის განმავლობაში. კერძოდ, მობილიზებულია ამჟამად პორტორიკოში მყოფი 7 ნაწილი. ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ძლიერ გაადიდა სამხედრო ძალები პორტორიკოში.

ამერიკელ მრეწველთა მოგება

გაზეთ „ჯორნელ ოფ კომერსის“ ცნობით, ამერიკის 400 ძირითადი სამრეწველო კომპანიის მოგება მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 2,280 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც შარშანდელი წლის ამ პერიოდის მოგებას 59 პროცენტით აღემატება.

26 სექტემბერი (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ

(„ტექნიკა და შრომას" სტამბის პარტორგანიზაცია)

პარტბიუროს განვლილი მუშაობა სასტიკად გააკრიტიკა საანგარიშო-საარჩევნო პარტიულმა კრებამ. მრავალი შენიშვნა მოისმინა პარტბიუროს ყოფილმა მდივანმა ამხ. ს. ინასარიძემ. კრიტიკა მკაცრი, მაგრამ მართებული იყო. პარტბიურომ ვერ უზრუნველჰყო საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობის მიმართ პარტიული კონტროლი, სწორად ვერ შეათავსა პარტიული და სამეურნეო მუშაობა, სათანადოთ ვერ დარაზმა კომუნისტები და სტამბის მუშები საწარმოო გეგმის შესრულებისათვის. კრებამ ბიუროს განვლილი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩასთვალა და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი პარტიული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

ეს იყო მიმდინარე წლის თებერვალში. „ტექნიკა და შრომას" სტამბის პარტიული ორგანიზაციის ახალმა ბიურომ გაკვეთილად გამოიყენა კრების სამართლიანი მითითება და მონდომებით შეუდგა საანგარიშო კრების მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას.

პირველ რიგში პარტბიურომ (მდივანი — ალ. ზარაფოვი) ყურადღება მიაქცია სააგიტაციო მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებას. 19 თებერვალს ბიურომ გამოჰყო 4 აგიტატორი და დაავალა მათ ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაძლიერება, საუბრების, გაზეთის კითხვის სისტემატურად ჩატარება. შემდეგ ბიურო დროგამოშვებით ამოწმებდა აგიტატორთა მუშაობას და ახალ მითითებებს აძლევდა მათ. ამის შედეგად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ერთგვარად გაუმჯობესდა.

პარტბიურომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პარტიული და სამეურნეო საქმიანობის სწორად შეთავსებას. წესად იქნა შემოღებული პარტბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე საწარმოო გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე მოხსენებების მოსმენა. ასეთ მოხსენებას ისმენენ კვარტალის დამთავრების შემდეგ. პარტიული ორგანიზაცია მოპოვებული მიღწევების აღნიშვნასთან ერთად ამჟღავნებს მუშაობის არსებულ ნაკლოვანებებს და სახავს პრაქტიკულ ღონისძიებებს მათ გამოსასწორებლად. გარდა ამისა, პარტორგანიზაცია თავის კრებებზე იხილავს წარმოების ცალკე საკითხებს.

მაგალითად, 20 აგვისტოს განიხილეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის საკითხი. აღინიშნა წუნდებული პროდუქციის გამოშვების ფაქტები მბეჭდავ და ამკინძავ საამქროებში და დასახულ იქნა კონკრეტული ზომები ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად.

ამგვარი მუშაობით პარტიული ორგანიზაცია დადებითს გავლენას ახდენს სტამბის მუშაობაზე, სტამბის კოლექტივს რაზმავს მოცემული გეგმის შესრულებისათვის. ნახევარი წლის გეგმა სტამბამ 103,3 პროცენტით შეასრულა. წარმატებით შესრულდა ივლისში და აგვისტოში. სექტემბერშიც ნაყოფიერად მუშაობს სტამბა.

საწარმოო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლას სათავეში კომუნისტები უდგანან. წარმოებაში უშუალოდ მომუშავე 15 კომუნისტიდან (სულ პარტორგანიზაციაში 21 წევრი და 5 კანდიდატია) გეგმას ყველა გადაჭარბებით ასრულებს.

ამა წლის 19 აგვისტოს პარტბიუროს სხდომაზე მოისმინეს დირექტორის ამხ. ბადალოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა განხორციელების მიმდინარეობაზე. შემდეგ საკითხი განხილულ იქნა პარტიულ კრებაზე. მოპოვებულ წარმატებებთან ერთად აღინიშნა ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანიც, შემუშავდა ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად. პარტბიურო თვალყურს ადევნებს მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას.

პარტორგანიზაცია ენერგიულად იბრძვის შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. როცა პარტწევრობის კანდიდატმა ნ. პაპულაშვილმა სამუშაო დღე გააცდინა, მისი საქციელი პარტორგანიზაციის მსჯელობის საგანი გახდა. პაპულაშვილი გაირიცხა პარტიის რიგებიდან. პარტორგანიზაციამ ამ მაგალითზე კომუნისტები დარაზმა გამცდენებისა და ცუღლუტების წინააღმდეგ. ამის შემდეგ არც ერთ კომუნისტს და კომკავშირელს არ დაურღვევია შრომის დისციპლინა. დისციპლინის დარღვევა იშვიათია უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა შორისაც.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აღინიშნა პარტიაში მიღებისა და პარტიული პროპაგანდის სუსტად დაყენება. პარტიაში მიღების საქმე ერთგვარად გაუმჯობესდა. ამ ხნის განმავლობაში პარტწევრად მიღებულია ერთი ამხანაგი, პარტწევრობის კანდიდატად — 3. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ნაკლებად მუშაობს პარტორგანიზაცია. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც შემდეგ ფაქტებს მოვიყვანთ: პარტიის სამი კანდიდატის წევრად მიღების დოკუმენტები სათანადოდ არ გააფორმეს, რის გამო მათი საქმე რაიკომმა უკანვე დააბრუნა; წინასწარი გულდასმით შემოწმების გარეშე პარტიის წევრად მიიღეს ნინო პაპულაშვილი, რომელმაც შემდეგ სამუშაო გააცდინა და ამიტომ პარტიიდან გაირიცხა.

დღემდე შეუსრულებელია საანგარიშო-საარჩევნო კრების მითითება პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესების შესახებ. პარტბიუროს მდივანი ამხ. ზარაფოვი და მისი მოადგილეები იშვიათად ესაუბრებიან კომუნისტებს პარტიის ისტორიის შესწავლის საკითხებზე, მათ არ იციან ვინ როგორ მეცადინეობს, ან ვის რა დახმარება ესაჭიროება. ამხ. ზარაფოვის სიტყვით 11 ამხანაგი დამოუკიდებლად სწავლობს პარტიის ისტორიას, 11 ამხანაგი კი პარტისტორიის შემსწავლელ წრეში მეცადინეობს.

სინამდვილე კი სხვას გვეუბნება. აქ წელს ერთხელაც არ ჩაუტარებიათ თეორიული კონფერენცია, არც ლექცია მოუწყვიათ პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად. კონსულტაციები იშვიათად ეწყობა, უკანასკნელი თვენახევრის განმავლობაში არცერთი კონსულტაცია არ ჩატარებულა.

ამჟამად დამოუკიდებლად დაახლოებით 4 კაცი სწავლობს პარტიის ისტორიას, დანარჩენებმა თავი გაანებეს მეცადინეობას, რადგან დახმარება არავინ გაუწია. მაგალითად ამხ. კორბოვამ განაცხადა: მე დამოუკიდებლად ვერ შევძელი პარტიის ისტორიის შესწავლა, მეორე თავამდე მივაღწიე და აქ გავჩერდი, რადგან არავინ დამეხმარაო. ამხ. კორბოვას საჭიროდ მიაჩნია შეიქნას პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე რუსულ ენაზე. ამ აზრს ზოგი სხვა ამხანაგიც იზიარებს.

ამ პარტორგანიზაციაში პარტიული პროპაგანდის სუსტად დაყენებაში საქ. კ. პ. (ბ) ბერიას რაიკომსაც მიუძღვის ბრალი. პარტორგანიზაციამ 2 თვის წინათ განიზრახა თეორიული კონფერენციის ჩატარება და დახმარება სთხოვა რაიკომს; რაიკომმა სათანადო დახმარების გაწევა ამხ. ბაბაევს დაავალა. მან ამ თვენახევრის წინ ჩაატარა რამდენიმე კონსულტაცია და შემდეგ აღარ გამოცხადებულა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმეჯერ მიაკითხეს. ამის შედეგად თეორიული კონფერენციისათვის მზადება ფაქტიურად ჩაშლილია, არავინ იცის ვინ როგორ ემზადება, ან ვის რა უჭირს, რა დახმარება ესაჭიროება.

საქ. კ. პ. (ბ) ბერიას რაიკომმა უფრო მეტი დახმარება უნდა გაუწიოს პირველადს პარტორგანიზაციებს პარტიული პროპაგანდის დაყენების საქმეში.

ლ. ჯავახაძე

ერთეულ კომუნისტებთან ცუდად მუშაობენ

სოხუმი, (საქდესი). სოხუმის რაიონის დაშორებულ კოლმეურნეობებსა და სოფლებში, სადაც ჯერ არ არსებობს პირველადი პარტიული ორგანიზაციები, მთელს პარტიულ მუშაობას ატარებენ ერთეული კომუნისტები. სულ რაიონში 64 ერთეული კომუნისტია.

პარტიის წევრობის კანდიდატი, კოლმეურნეობა „ნორ-კიანკის" (სოფელი ოლგინსკოე) თავმჯდომარე ამხ. კ. ოდაბაშიანი ყოველდღიურად კოლმეურნეობაში ატარებს საუბრებს, გაზეთის ხმამაღლა კითხვას, კოლმეურნეებს აცნობს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს.

ერთეული კომუნისტები—სოფ. ფსხუს კოოპერატივის თავმჯდომარე ამხ. ა. ლიტვინენკო, სოფ. კრასნაია ბესლეტკის უბნის აგრონომი ამხ. ე. ბედიკიანი რეგულარულად უშვებენ კედლის გაზეთებს, საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. რუსია ხშირად აკეთებს მოხსენებებს საერთაშორისო მდგომარეობაზე სოფელ ვლადიმიროვკის კოლმეურნეებისა და ინტელიგენციისათვის, აწყობს კონსულტაციებს იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ პარტიის ისტორიას.

მაგრამ ბევრ ერთეულ კომუნისტს არა აქვს პარტიული დავალება, არ მონაწილეობს თავისი კოლმეურნეობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პარტიის რაიკომი არასაკმაო ყურადღებას უთმობს ერთეულ კომუნისტებს, სუსტად ეხმარება პარტიული და საზოგადოებრივი მუშაობის ჩატარებაში. ერთეული კომუნისტები, რომელთა დიდი უმრავლესობა ახლახან მიიღეს პარტიის რიგებში, საჭიროებენ რაიკომის მხრივ ყოველდღიურ, სისტემატურ დახმარებას. მაგრამ რაიკომმა ეს საქმე მიანდო თავის ინსტრუქტორებს, რაიკომის მდივნები და ბიუროს წევრები კი ძალიან იშვიათად ესაუბრებიან მათ, არ არიან დაინტერესებულნი მათი ცხოვრებით, მუშაობით, სწავლით. წელს რაიკომის ბიუროს არ უმსჯელია ერთეულ კომუნისტებთან მუშაობის საკითხებზე, არ დაინტერესებულა მათი იდეურ-პოლიტიკური ზრდით.

— ერთეული კომუნისტების ცხოვრებასა და მუშაობას კარგად იცნობს ინსტრუქტორი ამხ. ოვანესიანი, — ამბობს რაიკომის მდივანი ამხ. ესებუა.

მართლაც ინსტრუქტორი ამხ. ოვანესიანი იცნობს თავისი ზონის თვითეულ ერთეულ კომუნისტს, იგი ხშირადაა იმ სოფლებსა და კოლმეურნეობებში, სადაც ერთეული კომუნისტები მუშაობენ, საუბრობს მათთან, აინტერესებს, თუ როგორ სწავლობენ ისინი პარტიის ისტორიას, უხსნის საკითხებს, რომლებიც წამოიჭრება წიგნით დამოუკიდებლად მუშაობის პროცესში.

მაგრამ ეს საკმარისი როდია. ერთეულ კომუნისტებს ესაჭიროებათ ყოველდღიური, სისტემატური დახმარება რაიკომის მდივნებისა და ბიუროს წევრების მხრივ.

თბილისის რკინიგზის დეპოს ამხ. სინჯიკაშვილის კომკავშირელთა ბრიგადა, რომელმაც აიღო ვალდებულება საქ. ალკკ მე-15 ყრილობის პატივსაცემად გეგმის ზევით შეკეთებიდან გამოუშვას ერთი ორთქლმავალი.

საქდესის ფოტოქრონიკა.

საბჭოთა კავშირის გმირის შეხვედრა ახალწვეულებთან

(ბათუმი, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან).

საბჭოთა კავშირის გმირი ა. სულაბერიძე ესტუმრა ბათუმის გასაწვევ პუნქტს, სადაც ახალწვეულებმა გმირს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. ისმოდა მისალმების მგზნებარე შეძახილები: გაუმარჯოს დიდ სტალინს, გაუმარჯოს სახელოვან წითელ არმიას!

საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. ა. სულაბერიძეს მიესალმნენ გამწვევი კომისიის თავმჯდომარეები: მაიორი ამხ. სისნოვი და უფროსი პოლიტხელი არხიპოვი. ამხ. სულაბერიძემ ახალწვეულებს მოუთხრო თეთრფინელებთან წითელი არმიის გმირული ბრძოლის ეპიზოდებზე. კერძოდ, მან ილაპარაკა თავისი ტანკის მოქმედებაზე.

გმირმა ახალწვეულებს მოუწოდა თავდადებულად იმსახურონ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში და საუკეთესოდ დაეუფლონ ჩვენს რთულ სამხედრო ტექნიკას.

ახალწვეულებს მიესალმა აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირის მამა ამხ. სერგი სულაბერიძე.

ჩვენ გვწერენ

უმოქმედო კომენდანტი

სამხედრო ქუჩაზე № 6 ეზოს სახლებში (ბერიას სახელობის რაიონი) ერთ წელზე მეტია რაც კომენდანტად ითვლება ბაბილინა კაკაურიძე. ამ ხნის განმავლობაში მას კარგი არაფერი გაუკეთებია, ხელფასს კი იღებს.

ეზოში არის ოთხი დიდი და ორი პატარა სახლი, მობინადრეთა რიცხვი ორმოცამდე აღწევს. მობინადრეები უკმაყოფილონი არიან კომენდანტის უყურადღებობითა და დაუდევრობით. მაგალითად, ზედა სართულში წვიმის წყალი ჩამოდის. ამის შედეგად ბინები ფუჭდება. ზედა სართულის ბინების ჭერი ჩამონგრეულია. ეს ახალი ამბავი არ არის. მობინადრეებმა ბევრჯერ აღძრეს საჩივარი, მაგრამ თავი არავინ შეიწუხა. კომენდანტი ნახევარი წელია გვპირდება: „დღეს-ხვალო", მაგრამ მდგომარეობა უცვლელი რჩება.

ეზოში ანტისანიტარული მდგომარეობაა: სამი თვეა რაც შემოსასვლელთან ყრია სახლის შეკეთების დროს დაგროვილი დიდძალი ნაგავი, მის გატანაზე არავინ ზრუნავს. კომენდანტი გაიძახის „ეს მე არ მეხებაო".

წყალსადენი ხშირად იკეტება, იმის გამო, რომ კომენდანტს მობინადრეებისაგან აკრეფილი ფული დროზე არ შეაქვს. ერთ-ერთი სახლის ქვემო სართულში მცხოვრების ბინაში ზემოდან წყალსადენის წყალი ჩამოდის. საჭიროა წყალსადენის ახლოს იატაკი სათანადოდ შეკეთდეს. ამის შესახებ მცხოვრებლებმა კომენდანტს მიმართეს: „ჩვენ საკუთარ თანხას გავიღებთ წყალსადენის შესაკეთებლადო". კაკაურიძე პირობას იძლეოდა შეასრულებდა ამ თხოვნას, მაგრამ მდგომარეობა უცვლელი რჩება.

მობინადრეებს ბევრჯერ გვქონდა განზრახული საერთო კრების მოწვევა ამ საკითხების მოსაგვარებლად, მაგრამ კომენდანტი ნებას არ გვაძლევს: „საბინაო სამმართველოს წარმომადგენელი უნდა დაესწროს კრებასო და მას მე მოვიყვანო", მაგრამ ეს წარმომადგენელიც დღემდის არა ჩანს.

ახლოვდება ზამთარი. სახლი დანგრევის პირზეა. ჩვენ მოვითხოვთ გამოირკვეს საქმის ვითარება და უმოქმედო კომენდანტს პასუხი მოეთხოვოს.

მობინადრეები

(ხელს აწერს 6 კაცი).

აღვკვეთოთ გაცდენები

ვინ არ იცის, თუ რა დიდი რაოდენობით არის საჭირო კოლმეურნეობებში მუშა-ხელი, მეტადრე ხვნა-თესვის, პლანტაციების დამუშავებისა და მოსავლის აღების დროს. ბევრი კოლმეურნე კი, უმთავრესად ქალაქის ახლოს მდებარე კოლმეურნეობებში, სრულიად გაუმართლებლად აცდენს დროს. ხშირად ორიოდე კილოგრამი კარტოფილის, ვაშლის თუ სხვა სურსათ-სანოვაგის გასასყიდად გზაში და ბაზარზე მთელ დღეს ჰკარგავს.

ისმება კითხვა: ნუთუ არ შეიძლება კოლმეურნემ ადგილობრივ ჩააბაროს კოლმეურნეობას საკარმიდამო ნაკვეთზე მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ქალაქში გამართულ წერტში გასაყიდად? ყოველდღიურად რამდენიმე ასი კოლმეურნის მოცდენას, რაც ამავე დროს რკინიგზის ზედმეტ ხარჯებს და მატარებლების გადატვირთვას იწვევს, განა უმჯობესი არ იქნება კოლმეურნეობამ უზრუნველჰყოს თავის პროდუქტებთან ერთად კოლმეურნის პროდუქტების წამოღება და გასაღება? ამისათვის ჩვენის აზრით, მას შეუძლია მომსახურების ასანაზღაურებლად გადაახდევინოს კოლმეურნეს აღებული თანხის განსაზღვრული პროცენტი.

პროდუქტების გაყიდვა-გასაღების ასეთი წესი უკვე შემოიღეს მთელმა რიგმა მოწინავე კოლმეურნეობებმა, რაც დიდ სამეურნეო ეფექტს იძლევა.

ვფიქრობთ, ამ საკითხის მოგვარება საქმიწსახკომმა უნდა უზრუნველჰყოს.

გ. ანთაძე

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

მიღებულია ზომები

„კომუნისტის" რედაქციაში შემოსული იყო კოლმეურნეთა კოლექტიური წერილი გორის რაიონის სოფ. ბროწლეთის კოლმეურნეობაში არსებულ დამახინჯებათა და ნაკლოვანებათა შესახებ. რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიონულ კომიტეტს.

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ლოლაძე გვატყობინებს, რომ რაიკომის ბიურომ ა. წ. 29 ივლისს განიხილა ბროწლეთის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის საკითხი.

ბიურომ დაადასტურა წერილში მოყვანილი ფაქტები და აღნიშნა, რომ ბროწლეთის კოლმეურნეობაში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშად დამახინჯების მთელ რიგ ფაქტებს. კოლმეურნეობის გამგეობის და მისი თავმჯდომარის ბ. სურამელის უხეირო მუშაობის შედეგად 1939 წელს სიმინდის საბოლოო განაწილება არასწორად მოხდა, კოლმეურნეების ერთმა ნაწილმა შრომადღეზე მიიღო 6 კგრ. სიმინდი, მეორე ნაწილმა კი—4 კგრ., 22 კოლმეურნეს ამჟამადაც მისაღები აქვს 6307 კგრ. სიმინდი. კოლმეურნეობაში ანგარიშწარმოება აწეწილია. კოლმეურნეობის საერთო კრების ნებადაურთველად კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა გაჰყიდეს 750 კგრ. დაფხვნილი სიმინდი. პირველმა და მეორე ბრიგადებმა წელს დაბალი ხარისხის სიმინდი დასთესეს. უყურადღებობით დალპა კოლმეურნეობის 2000 კონა ჩალა. გარდა ამისა, ადგილი აქვს ჩამონაჭერ მიწის ნაკვეთებში კოლმეურნეობის წევრების თვითნებურად შეჭრის ფაქტებს და სხვ.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის ბიურომ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ბ. სურამელი დანაშაულებრივი მოქმედებებისათვის მოხსნილია თავმჯდომარეობიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

პ. რატიანი

ამერიკის შეერთებული შტატები ომის გზაზე

„გამოყოფილნი ვართ რა ევროპისაგან ატლანტის დიდი ოკეანით, ჩვენ შეგვიძლია არავითარი დამოკიდებულება არ ვიქონიოთ არც ევროპულ მთავრობათა ომებთან და არც იმ მიზნებთან, რომლებითაც ისინი გამოწვეულნი იქნებიან".

ასე ლაპარაკობდა თითქმის ამ 120 წლის წინათ ეგრეთწოდებული „მონროის დოქტრინის" ავტორი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ჯემს მონრო.

აყალიბებდა რა კონგრესისადმი მიმართვაში თავისი დოქტრინის შინაარსს, რომელიც მოკლედ გამოთქმულია ფორმულაში „ამერიკა—ამერიკელებისათვის", პრეზიდენტი მონრო იმაზე ზრუნავდა, რომ შეერთებული შტატების ახალგაზრდა რესპუბლიკა დაეცვა ევროპის მონარქთა აგრესიული გეგმებისაგან და ამავე დროს ეთამაშნა ამერიკის კონტინენტის მცირე ხალხთა ინტერესების „დამცველის" როლი. მონროს დოქტრინის დროშით ამერიკელები თავის დროზე მხოლოდ თავს იცავდნენ. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს როდი გაგრძელებულა.

რაც უფრო ვითარდებოდა კაპიტალიზმი შეერთებულ შტატებში, მით უფრო სწრაფად იზრდებოდა მოთხოვნილება ახალ ბაზრებსა და გავლენის სფეროებზე და იღვიძებდა სხვისი ტერიტორიების დაპყრობის მადა. ამის შესაბამისად იცვლებოდა მონროს დოქტრინის შინაარსიც: მას შემდგომში მუდამ იყენებდნენ როგორც საუკეთესო საფარს ახალი ტერიტორიების დაპყრობისას.

უკვე მე-19 საუკუნის ბოლოსათვის ამერიკის შეერთებული შტატები გადაიქცა მაღალგანვითარებულ, მძლავრ იმპერიალისტურ სახელმწიფოდ. ამერიკის კაპიტალიზმის შესვლამ მისი განვითარების იმპერიალისტურ სტადიაში განსაზღვრა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ახალი ფაზა: იზოლაციონისტური პოლიტიკა საბოლოოდ დამარცხდა და შეერთებული შტატების ისტორიაში დაიწყო აქტიური ექსპანსიების ერა.

ახალი ტერიტორიების, გასაღების ბაზრებისა და გავლენის სფეროების დასაპყრობად ამერიკის კაპიტალიზმმა აამოქმედა იმპერიალისტ-მტაცებელთა ყველა ნაცადი საშუალებანი, დაწყებული დიპლომატიური ინტრიგებით და გათავებული მტაცებლური ომებით. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეერთებულმა შტატებმა საფრანგეთისაგან შეისყიდეს ლუიზიანა, ხოლო ესპანეთისაგან ფლორიდა, 1867 წელს კი—რუსეთისაგან ალასკა. ესპანეთთან ომში, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის მიწურულში, ამერიკის შეერთებული შტატები გამარჯვებული გამოვიდა. ამ ომმა მას ხელში ჩაუგდო მდიდარი ფილიპინის კუნძულები და კიდევ რამდენიმე სტრატეგიული პუნქტი წყნარ ოკეანეში და პორტო-რიკო კარაიბის ზღვაში, აგრეთვე გააბატონა კუნძულ კუბაზე, რომელიც იმ დროისათვის შაქრის მსოფლიო წარმოების ნახევარს იძლეოდა.

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები გართულნი იყვნენ ურთიერთშორის ომებში, განსაკუთრებით აქტიური ხასიათი მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსიამ ლათინური და ცენტრალური ამერიკის ქვეყნების მიმართულებით. იგი მოკლე ხანში ხელთ იგდებს ან თავის ფაქტიურ კოლონიებად აქცევს მთელ რიგ მდიდარ რესპუბლიკებს: ჰავაის კუნძულებს, კუბას, სან-დომინგოს, გაიტის, ნიკარაგუას, სალვადორს, პანამას, გონდურასს, გვატემალას. ძველი ლოზუნგი „ამერიკა — ამერიკელებისათვის" უცხოეთის ჟურნალისტებმა სამართლიანად გადააკეთეს, დაცინვით, ლოზუნგად: „ამერიკა — ჩრდილოეთ ამერიკელებისათვის".

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმმა ენერგიული ბრძოლა გააჩაღა გასაღების ბაზრებისა და გავლენის სფეროების მოსაპოვებლად აგრეთვე აზიის კონტინენტზე და წყნარი ოკეანის ბასეინში. ამერიკელებმა წამოაყენეს ე. წ. „ღია კარების" დოქტრინა ჩინეთის მიმართ. ისინი ცდილობდნენ ეკონომიური საშუალებებით გამოედევნათ თავიანთი კონკურენტები ჩინეთის დიდი ბაზრიდან. დაიწყო გაფართოებული ეკონომიური ომი ჩინეთში გავლენის სფეროებისათვის, წყნარი ოკეანის ბასეინში გაბატონებული მდგომარეობისათვის; შორეულ აღმოსავლეთში საუკუნის დასაწყისშივე იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა უაღრესად რთული კვანძი გაიხლართა.

მაგრამ ყოველივე ამანაც ვერ დააკმაყოფილა ამერიკის იმპერიალიზმის სულ უფრო და უფრო მზარდი მადა. მას სურდა კიდევ უფრო მეტი მოგება, მეტი ბაზრები, ახალი ტერიტორიები. და როდესაც 1914 წელს იფეთქა პირველმა იმპერიალისტურმა ომმა მსოფლიოს ახალი გადანაწილების მოსახდენად, ამერიკის ბურჟუაზიამ შესძლო ჩაეთრია თავისი ქვეყნის ხალხი ამ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტაში.

პირველმა იმპერიალისტურმა ომმა ფანტასტიკურად გაამდიდრა ამერიკელი კაპიტალისტები. სიკვდილის მთესველი იარაღის კეთების ფასად, მილიონობით ხალხთა სისხლისა და ძვლების ფასად ამერიკამ მილიარდობით ოქრო მიიღო. საკმარისია ითქვას, რომ ყველა ამერიკული სააქციო საზოგადოების საერთო მოგება 1916-18 წლების პერიოდში საშუალოდ წელიწადში შეადგენდა 5 მილიარდი დოლარით მეტს, ვიდრე 1912-14 წლებში. ამ ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები გადაიქცა უმდიდრეს იმპერიალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც არა მარტო თავისუფალია სხვა ქვეყნებზე ფინანსიური დამოკიდებულებისაგან, არამედ თვით ითვლება მსოფლიო კრედიტორად.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი და მისი მოკავშირენი პირველ იმპერიალისტურ ომში — ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზია — ემყარებოდნენ მათ მიერვე შექმნილ ომის შემდგომ სისტემაზე, რომელიც აგებული იყო ვერსალისა და ვაშინგტონის ხელშეკრულებებზე. მაგრამ როდესაც ეს სისტემა ძირფესვიანად იქნა აფეთქებული და მკვეთრად დაირღვა „წონასწორობა" როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, — ამერიკის იმპერიალიზმის წინაშე ახალი საფრთხე აღიმართა. მეორეს მხრივ, მის წინაშე გადაიშალა შემდგომი გამდიდრების, ახალი ბაზრებისა და ტერიტორიების დაპყრობის პერსპექტივა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების გზით.

მეორე იმპერიალისტური ომის დასაწყისშივე აშკარა გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ინგლის-საფრანგეთის ბლოკისადმი აქტიური დახმარების გზას ადგია. ამჟამად ინგლისისადმი სამხედრო დახმარება სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებს. ისევე როგორც პირველი იმპერიალისტური ომის დროს, მხოლოდ უფრო ფართო მასშტაბით, ამერიკიდან ევროპისაკენ ინგლისის დასახმარებლად ყოველდღე მოედინება უამრავი სამხედრო მასალა და იარაღი, მოფრინავენ ასობით საბრძოლო თვითმფრინავები, მოცურავენ სამხედრო გემები.

ამ ცოტა ხნის წინათ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისის დომინიონ კანადას შორის დაიდვა შეთანხმება თავდაცვის ერთიანი სისტემის შექმნის შესახებ. ცოტა უფრო გვიან შეერთებულმა შტატებმა უშუალოდ ინგლისთან დასდო შეთანხმება, რომლის ძალით ამერიკამ ინგლისს გადასცა 50 საესკადრო ნაღმოსანი და ამის სანაცვლოდ 99 წლის ვადით იჯარით მიიღო ინგლისის მნიშვნელოვანი სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ბაზები დასავლეთის ნახევარსფეროში. ამჟამად კი უცხოეთის პრესაში დაჟინებით ვრცელდება ხმები ინგლის-ამერიკის ახალი მოლაპარაკების შესახებ, რომელსაც თითქოს მიზნად აქვს ინგლისის წყნარი ოკეანის და ავსტრალიის სამხედრო ბაზების (კერძოდ სინგაპურის) ამერიკისათვის გადაცემა, რასაკვირველია, ამერიკის მხრივ დახმარების შემდგომი გაძლიერების ფასად. ყოველივე ეს ძალიან მოგვაგონებს ინგლის-ამერიკის ფაქტიურ სამხედრო თანამშრომლობას.

ისმება კითხვა: რატომ ეხმარება ამერიკის შეერთებული შტატები ასე აქტიურად ინგლისს?

ეხმარება იმიტომ, რომ ამერიკის იმპერიალიზმი უაღრესად დაინტერესებულია ომის გაჭიანურებით. მას არ სურს, რომ ინგლისი დამარცხდეს და ომი მალე გათავდეს. მას სურს, რომ რაც შეიძლება დიდხანს მძვინვარებდეს ომის ხანძარი ევროპაში, რაც შეიძლება მეტი ხალხი ამოწყდეს და მეტი ქალაქები დაინგრეს, რათა გაიზარდოს ამერიკელ კაპიტალისტთა მოგება. ასეთია კაპიტალიზმის ბუნება.

ეხმარება იმიტომ, რომ ამერიკის იმპერიალიზმს სურს ყველაზე აქტიური როლი ითამაშოს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საქმეში. მან იცის, რომ ინგლისი ბევრად არის დამოკიდებული ამერიკაზე და ეს დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო იზრდება. ასეთ პირობებში ინგლისი გამარჯვებულიც რომ გამოვიდეს, მაინც ვერ შესძლებს ხელი შეუშალოს ამერიკას მსოფლიოში ჰეგემონობისათვის ბრძოლაში, რადგან ინგლისის ძირითადი პოზიციები როგორც დასავლეთის ნახევარსფეროში, ისე წყნარი ოკეანის ბასეინში, ამერიკის ხელში აღმოჩნდება. მაგრამ სულ სხვაა, თუ გერმანიამ გაიმარჯვა. განსაკუთრებით, თუ მან შესძლო ინგლისის ფლოტის ხელში ჩაგდება. მაშინ ამერიკას არამარტო წყნარ ოკეანეში ექოლება ინგლისის გავლენისაგან თავისუფალი უაღრესად საშიში მეტოქე, — იაპონია, არამედ ატლანტის ოკეანეშიც, — მძლავრი გერმანია. აი რა აშინებს ამერიკის იმპერიალიზმს.

ეხმარება აგრეთვე იმიტომ, რომ ამერიკა შეშფოთებულია მოვლენების განვითარებით შორეულ აღმოსავლეთში. იაპონიის იმპერიალიზმი, რომელიც სარგებლობს ევროპაში შექმნილი ვითარებით, თანდათანობით ეუფლება საფრანგეთისა და ინგლისის პოზიციებს აღმოსავლეთში და უშუალო საფრთხის ქვეშ აყენებს ამერიკის სასიცოცხლო ინტერესებს წყნარ ოკეანეში. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს გააძლიეროს ინგლისის მიერ წინააღმდეგობის გაწევის უნარი იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მოქმედების თავისუფლება აღმოსავლეთში და წინაღუდგეს იაპონიის ექსპანსიას სამხრეთის ზღვების მიმართულებით.

ასეთია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ინგლისისადმი დახმარების და მათი „მეგობრობის" ნამდვილი მიზეზები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი მეგობრობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს წინააღმდეგობანი ინგლისისა და ამერიკას შორის უკვე მოისპო. ეს წინააღმდეგობანი კვლავ არსებობენ და ძალიან ხშირადაც იჩენენ ხოლმე თავს. მაგალითად, ფაქტია, რომ ამერიკელები ომის დაწყების პირველი დღიდანვე შეუდგნენ ლათინური ამერიკის ქვეყნების ბაზრებიდან ინგლისის გამოდევნას.

ამასწინათ ჩატარებულმა პანამერიკულმა კონფერენციამ, რომელზედაც ფორმალურად ლაპარაკი იყო იმაზე, რომ არ დაუშვან დასავლეთ ნახევარსფეროში ევროპული სამფლობელოების გადაცემა ერთი არაამერიკული სახელმწიფოს ხელიდან მეორე არაამერიკული სახელმწიფოს ხელში, სინამდვილეში ერთგვარად მოამზადა ნიადაგი იმისათვის, რომ შეერთებულმა შტატებმა ხელში ჩაიგდონ საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბელგიისა და დანიის სამფლობელოები დასავლეთში. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ამერიკაში კარგად იციან, რომ ამჟამად ისტორიაში პირველად ისახება პერსპექტივა გაავრცელონ თავიანთი გავლენა ინგლისის სამფლობელოებზეც და ხელში ჩაიგდონ ისინიც.

როგორც ამხანაგი მოლოტოვი ამბობდა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ ბევრი არიან იმის მსურველნი, რომ თავიანთი იმპერიალისტური გეგმები დაჰფარონ სარეკლამო „მზრუნველობით" მთელი „დასავლეთი ნახევარსფეროს" ინტერესებისათვის. სინამდვილეში კი ამ ვაჟბატონებს სურთ თავის საკუთრებად აქციონ მთელი ეს ნახევარსფერო ყველა მისი მრავალი რესპუბლიკითა და ამერიკის მატერიკის მომიჯნავე კუნძულებზე არსებული სხვა ქვეყნების სამფლობელოებითურთ.

ყოველივე ამის შემდეგ არაა ძნელი გასაგები თუ რატომ შეუდგნენ ამერიკაში შეიარაღების უზარმაზარი, აქამდე გაუგონარი გეგმის განხორციელებას. ამერიკას სურს, რომ იგი სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერი იყოს იმ დროისათვის, როცა საქმე ნადავლის გაყოფაზე მიდგება. ამასთან მას სურს შექმნას ორი ოკეანის — ატლანტის და წყნარი ოკეანეების მძლავრი ფლოტი, რათა ინგლისის დამარცხების შემთხვევაში შეეძლოს ორ ფრონტზე მოსალოდნელი ომის წარმოება.

ასეთია ამერიკის იმპერიალიზმის ზრახვები, რომელთა განხორციელებისთვისაც ამჟამად შეერთებულ შტატებში გაფაციცებით სწარმოებს მზადება.

ამასწინათ პრეზიდენტმა რუზველტმა მოუწოდა იქითკენ, რომ ამერიკის საავიაციო ქარხნების სიმძლავრე გადიდდეს 50 ათას თვითმფრინავამდე წელიწადში. ეს იმას ნიშნავს, რომ შეერთებული შტატების საავიაციო მრეწველობა 1939 წელთან შედარებით ათჯერ უნდა გადიდდეს. ამასთანავე დასახულია საზღვაო შეიარაღების გრანდიოზული პროგრამა. განზრახულია აშენდეს სხვადასხვა კლასის 200 სამხედრო გემი. საერთო თანხა, რომელიც სამხედრო საჭიროებისთვისაა გადადებული, 15 მილიარდ დოლარს უდრის. ამ თანხის სიდიდეზე რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ იგი 8 მილიარდით მეტია იმ თანხაზე, რომელიც უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ერთად დაიხარჯა ამავე მიზნებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ყველაფრიდან აშკარად ჩანს, რომ ამერიკა ამჟამად იმავე გზით მიდის, რომლითაც პირველი იმპერიალისტური ომის დროს მიდიოდა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ახლა იგი გაცილებით უფრო ჩქარა მიდის ამ მისთვის ნაცნობი გზით, — მსოფლიო ომის გზით. ამას საუკეთესოდ ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა, ეშინოდა რა ხალხის აღშფოთების, გერმანიასთან ომის ფორმალურ გამოცხადებამდე ვერ გაბედა შემოეღო სავალდებულო სამხედრო ბეგარის კანონი და ამერიკის კონგრესმა მხოლოდ 1917 წლის 18 მაისს, გერმანიასთან ომის გამოცხადების რამდენიმე კვირის შემდეგ, მიიღო ეს კანონი. პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი კი თავის წინამორბედზე უფრო გაბედულად მოქმედებს. მან უკვე შესძლო გაეტარებინა კონგრესზე კანონი, რომელიც ამერიკელი სამხედრო ექსპერტების აზრით, 1941 წლისათვის ამერიკის რეგულარულ არმიას „მშვიდობიანი დროისათვის" 2 მილიონ კაცამდე გაადიდებს. ამერიკელ პოლიტიკოსებს, ასრულებენ რა თავიანთი კაპიტალისტების ნება-სურვილს, სწრაფად და ოსტატურად მიჰყავთ ამერიკის ხალხი ომის მრისხანე ხანძრისაკენ.

საქმე აშკარად მეორე იმპერიალისტური ომის შემდგომი გაფართოების, მისი ახალ მსოფლიო ომად გადაქცევისაკენ მიდის.

რა ირონიულად გაისმის ასეთ პირობებში ძველი პრეზიდენტის სიტყვები, რომლებიც ჩვენ წერილის დასაწყისში მოვიყვანეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდო-ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, იაპონიის ჯარი ხაიფონში გადადის. ხანოიდან მიღებული ოფიციალური ცნობით, იაპონიის ჯარი საომარ მოქმედებას აწარმოებს ლანსონის რაიონში. საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ხელისუფალნი მოითხოვენ, რათა ხანოის ყველა მცხოვრებმა დასტოვოს ხანოი.

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, იაპონიის ჯარი ხაიფონში შედის. იაპონელებს ბრძოლა აქვთ ლანსონის რაიონში.

ლონდონი, 26 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, თანახმად ვიშიდან მიღებული უკანასკნელი ინფორმაციისა, გენერალმა ნისიხარამ, რომელიც იაპონელთა მხარეს წარმოადგენდა 22 სექტემბრის შეთანხმების ხელმოწერის დროს, მოახერხა მოეგვარებინა დონდანის ინციდენტი, რაც იაპონიის ჯარის მიერ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის საზღვრის გადალახვის შედეგად მოხდა. ფიქრობენ, რომ „ახლა ვითარება ნებას იძლევა განხორციელებულ იქნას საფრანგეთ-იაპონიის შეთანხმება".

იაპონიის ჯარი ხაიფონში გადასხდა

ტოკიო, 26 სექტემბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობით, იაპონიის ჯარი, რომელიც გემებით საფრანგეთის ინდო-ჩინეთში ჩავიდა, დღეს, დილით, გადასხდა ხაიფონის მახლობლად.

ტოკიო, 26 სექტემბერი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, სამხრეთ ჩინეთში იაპონიის საექსპედიციო ჯარის სარდლობის კომუნიკეში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა, ნათქვამია: „იაპონიის ჯარი, რომელიც საფრანგეთის ინდო-ჩინეთში გემებით ჩამოვიდა, დღეს, დილით, ნაპირზე გადავიდა ხაიფონის ახლოს (საფრანგეთის ინდო-ჩინეთი).

იაპონელები ლანსონში შევიდნენ

ტოკიო, 26 სექტემბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ, საღამოს, იაპონიის ჯარი ლანსონში (სტრატეგიული პუნქტი ხანოის ჩრდილო-აღმოსავლეთით) შევიდა. სააგენტო აღნიშნავს, რომ ჯარი ამ ქალაქში შევიდა მას შემდეგ, რაც მოლაპარაკება გაიმართა პოლკოვნიკ ოკა იოსიროს და საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ლანსონის რაიონის ჯარის სარდალ გენერალ-მაიორ მენჟლას შორის. მოლაპარაკება დაიწყო მას შემდეგ, რაც იაპონიის ჯარი, რომელიც დონდანიდან მიიწევდა წინ, საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ჯარის წინააღმდეგობას წააწყდა.

იაპონიის ჯარის კონცენტრაცია ინდო-ჩინეთის საზღვარზე

ჩუნცინი, 26 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ჩუნცინის განყოფილება იუწყება, თანახმად მიღებული სარწმუნო ცნობებისა, იაპონელებმა ოთხი დივიზია მოამზადეს ინდო-ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილის ოკუპაციისათვის. ამჟამად იაპონიის ჯარი თავს იყრის გუანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში და ხაინანისა და ვეიჯაოს კუნძულებზე. იაპონიის ნანინისა და ლუნჯოუს ბაზებიდან დამხმარე ძალა სასწრაფოდ გადაჰყავთ დონდანის რაიონში. 23 სექტემბერს იაპონიის ჯარი ლუნჯოუდან ჯინანს ჩავიდა. გუანსის პროვინციის სამხედრო ხელისუფლებამ უბრძანა, იაპონელთა ზურგში და ლუნჯოუს და ჯინანის სექტორში მყოფს ჩინეთის ჯარს დაარღვიონ იაპონელთა ზურგი და კომუნიკაციები.

ლუნ იუნის განცხადება

ჩუნცინი, 26 სექტემბერი (საკდესი). გაზეთმა „იუნანჟიბაომ" გამოაქვეყნა იუნანის პროვინციული მთავრობის თავმჯდომარის ლუნ იუნის ინტერვიუ. იგი შეეხო საფრანგეთის ინდო-ჩინეთში იაპონიის ჯარის შესვლას და განაცხადა: „დადის ხმები, რომ მოწინააღმდეგეს სურს ჩინეთის ძალები ინდო-ჩინეთის საზღვრებისაკენ მიიზიდოს, რათა სხვა ადგილს დაიწყოს შეტევა. მაგრამ ახლანდელ პირობებში მოწინააღმდეგე ამას ვერ მოახერხებს, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ჩინეთში სამხედრო რაიონები მოეწყო, თვითეულ ასეთ რაიონს შეუძლია საომარი მოქმედება აწარმოოს სხვების დაუხმარებლად. იუნანის პროვინცია, — ხაზგასმით აღნიშნა ლუნ იუნმა, — მომზადებულია დამოუკიდებელი სამხედრო ოპერაციების საწარმოებლად, იუნანის არმია პასუხისმგებლობას იკისრებს ჩვენი ქვეყნის დაცვისათვის ამ უბანში". ლუნ იუნმა აღნიშნა, რკინიგზის ხაზი იუნანის პროვინციასა და საფრანგეთის ინდო-ჩინეთს შორის აყრილია და, ჩემი აზრით, იაპონია ერთი წლის განმავლობაში ამ ხაზს ვერ აღადგენსო.

ჩინეთის ნაციონალური კონგრესის მოწვევის ვადა გადაიდო

ჩუნცინი, 26 სექტემბერი (საკდესი). გუშინ ჩუნცინში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ნაციონალური კონგრესის მოწვევა, რაც 12 ნოემბრისათვის იყო განზრახული, გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ინგლის-იაპონიის ურთიერთობა

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ტოკიოელმა ელჩმა წარდგინება გაუკეთა იაპონიის მთავრობას და მოაგონა, რომ ინგლისი დაინტერესებულია შორეულ აღმოსავლეთში სტატუს-კვოს შენარჩუნებით. ინგლისის ელჩმა განაცხადა, რომ იაპონიის მოქმედება ინდო-ჩინეთში არ შეესაბამება იაპონიის მთავრობის დეკლარაციას, რომელიც იაპონიამ ჰოლანდიისა და საფრანგეთის დამარცხების შემდეგ გააკეთა. ამ დეკლარაციის თანახმად, იაპონიამ აღიარა, რომ იგი დაინტერესებულია შორეულ აღმოსავლეთში ჰოლანდიისა და საფრანგეთის სამფლობელოს მთლიანობის შენარჩუნებით.

ფიქრობენ, რომ გუშინ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბატლერმა იაპონიის ლონდონელ ელჩს სიგემიცუსაც მიუთითა ამ ფაქტზე მასთან საუბრის დროს.

ნიუ-იორკი, სექტემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, სინგაპურის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააკავა იაპონიის გენერალური საკონსულოს თანამშრომელი სინოძაკი და იაპონიის რამდენიმე სხვა ქვეშევრდომი. დაკავების მიზეზი გამორკვეული არ არის.

ტოკიო, სექტემბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, რომ „ინგლის-იაპონიის გამწვავებულ ურთიერთდამოკიდებულებას შემდგომი გაუარესების საფრთხე მოელის, ვინაიდან იაპონიის ოფიციალურ წრეებში მეტად სერიოზულ მნიშვნელობას აძლევენ იმას, რომ ინგლისის ხელისუფლებამ დააპატიმრა იაპონიის სინგაპურის გენერალური საკონსულოს თანამშრომელი სინოძაკი და ხუთი სხვა იაპონელი".

როგორც შემდეგ სააგენტო აღნიშნავს, ინგლისის პოლიცია შესულა იაპონიის გენერალური საკონსულოს შენობაში და მოუთხოვია საკონსულოს დოკუმენტები გადმოგვეცითო. ოფიციალური ცნობის თანახმად, ინგლისის პოლიციას სინოძაკი პოლიციის სამმართველოში გამოუძახნია და იქ დაუპატიმრებია. პოლიციამ დააკავა იმ სასტუმროს პატრონი და მოსამსახურე, სადაც ცხოვრობდა სინოძაკი, და კიდევ სამი იაპონელი. პოლიციამ, მიუხედავად იაპონიის გენერალური კონსულის პროტესტისა, გაჩხრიკა სინოძაკის სამსახურის სადგომი და მოითხოვა საიდუმლო დოკუმენტების გადაცემა და სეიფის გაღება. მას შემდეგ, რაც გენერალურმა კონსულმა უარი უთხრა, პოლიციამ დალუქა სეიფი და წავიდა.

იაპონიის პროტესტი ინგლისის მიმართ

ტოკიო, 26 სექტემბერი (საკდესი). როგორც გაზეთ „ასახის" ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, იაპონიის ელჩმა სიგემიცუმ სასტიკი პროტესტი განუცხადა ინგლისის მთავრობას იმასთან დაკავშირებით, რომ სინგაპურში დააპატიმრეს იაპონელი რეზიდენტები, რომელთაც ჯაშუშობას აბრალებენ.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში. შანსის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთში გრძელდება ჩინეთის ჯარის შეტევა. ბრძოლა გაჩაღებულია ქალაქ ჯანძის მისასვლელთან. ჩინელებმა, რომელნიც იანჩენის მიმართულებით მიიწევენ წინ რამდენიმე პუნქტიდან გააძევეს იაპონელები.

ცენტრალურ ჩინეთში. ხუბეის პროვინციაში 20 სექტემბერს ჩინეთის ჯარმა იერიში მიიტანა იაპონელებზე ტიანმინის რაიონში.

23 სექტემბერს ჩინეთის ჯარმა იერიში მიიტანა იაპონელთა პოზიციებზე ნანკინის რაიონში. იაპონელებს 100-ზე მეტი კაცი მოუკლეს. ჩინელებმა დაანგრიეს ნანკინისაკენ მიმავალი გზატკეცილი და ააფეთქეს ორი ხიდი.

სამხრეთ ჩინეთში მდგომარეობა უცვლელია.

26 სექტემბერი (საკდესი).

რუმინეთის სახმელეთო შეიარაღებული ძალების სარდლის დანიშვნა

ბერლინი, 26 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ გენერალი ალექსანდრე გეორგი რუმინეთის მთელი სახმელეთო შეიარაღებული ძალების სარდლად დაინიშნა.

სასურსათო მდგომარეობა ნორვეგიაში

ოსლო, 26 სექტემბერი (საკდესი). ნორვეგიაში 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე აკრძალულია საპნისა და საპნის ფხვნილის გაყიდვა. 1 ოქტომბრიდან საბარათო სისტემა იქნება შემოღებული საპონზე, საპნის ფხვნილსა და სადალაქო კრემზე. თვეში ერთ კაცზე გაიცემა 1 ნაჭერი 100-გრამიანი ხელსაბანი ან 125-გრამიანი სარეცხი საპონი.

კვირაში ყავის გაცემის ნორმა შემცირებულია 80-დან—60 გრამამდე, შაქრისა 250 გრამიდან 200 გრამამდე. გარდა ამისა, შემოაქვთ ბარათები ნამცხვარზე, მაკარონსა და სხვა პროდუქტებზე.

მოკლე ცნობები

◉ საფრანგეთის მთავრობამ დაადგინა, უმაღლესი სასამართლოს დამატებით დააარსოს კიდევ სპეციალური სამხედრო სასამართლო. ეს დაკავშირებულია გენერალ დე გოლის და მის მომხრეთა მოქმედებასთან. სამხედრო სასამართლოს შეუძლია დაპატიმრებისა და სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანოს ბრალდებულს. მის კომპეტენციაში შედის ის საქმეები, „რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ ნაციის, მისი ერთიანობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებასთან".

◉ 26 სექტემბერს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო გერმანიაში გაემგზავრა.

◉ ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო კომისიამ გააუქმა საფრახტო გარიგება ამერიკის შეერთებული შტატებიდან იაპონიაში ფოლადის გაგზავნის შესახებ. კომისიის წარმომადგენლებმა უარი სთქვეს დაესაბუთებინათ თავიანთი მოქმედება და განმარტეს, რომ, კანონის შესაბამისად, ასეთი გარიგება შეიძლება გაუქმებულ იქნას, თუ იგი საზოგადო ინტერესებს ეწინააღმდეგება.



მდინარე ნემანზე საბჭოთა ლიტვის ქალაქებს შორის ყოველდღე რეგულარულად მიმოდიან სატვირთო და სამგზავრო გემები. **სურათზე:** ერთერთი სამგზავრო გემი.

ფოტო დ. ჩერნოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მშენებლობაზე

ელბაქიძის სახელობის ხიდთან, მტკვრის კლდიან ნაპირზე აღმართულია ხარაჩოებით გარშემოვლებული 4-სართულიანი მონუმენტური შენობა. აქ შენდება უკანასკნელი, ანგარიშით მეოთხე, საფასადო კორპუსი სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატისა. კორპუსის მშენებლობა მალე დამთავრდება. ყველა სართულში მოპირკეთება სწარმოებს.

თავისი არქიტექტურით ეს კორპუსი ერთერთი უდიდესი და ულამაზესი შენობაა თბილისში. ქვედა სართული, მოპირკეთებული სარვანის ბაზალტით, გაფორმებულია თაღედებით და ნახევრადმრგვალი ფართო კიბით, რომლითაც შენობაში ადიხართ. მეორე, მესამე და მეოთხე სართულებს ჟორესის ქუჩის მხრიდან გარშემოვლებული აქვს ნახევრადმრგვალი სვეტები და პილასტრები. ყურადღებას იპყრობს კორპუსის მორგვალებული ფასადი, მიმართული ხიდისა და მდინარისაკენ. მთელს მეორე სართულს აკრავს არქიტექტურულად გაფორმებული ქვიტკირის აივანი, რომელზედაც სახურავამდე აღმართულია ვეებერთელა სვეტები.

კომბინატის პირველი სამი კორპუსი უკვე გადაცემულია საექსპლუატაციოდ. მათში მოთავსებულია სტამბა, რვეულთა საამქრო, წიგნის ბაზა, საწყობები და სახელგამის სხვა საწარმოები. ახალ საფასადო კორპუსში მოთავსდება დირექცია, სახელგამის ცენტრალური, სარედაქციო, საგამომცემლო და სხვ. სამმართველოები.

ქვედა სართული დაეთმობა სასადილოს, სამზარეულოს, წიგნის მაღაზიას.

ყველა კორპუსის მოცულობა უდრის 68 ათას კუბმეტრს, საფასადო კორპუსისა—22 ათას კუბმეტრს. 6.850.000 მანეთიდან, რაც გადადებული იყო კომბინატის მშენებლობისათვის, უკვე ათვისებულია 6.400.000 მანეთი.

კომბინატი შენდება არქიტექტორების ი. ბარათაშვილისა და გ. მიქაელიანის პროექტით. მშენებლობას აწარმოებენ სამუშაოთა მწარმოებელი მარო საფრაზიანი და სამუშაოთა მწარმოებლის თანაშემწე ნინო ნიკოლაიშვილი.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 23 წლისთავისათვის კომბინატის საფასადო კორპუსი საექსპლოატაციოდ გადაეცემა. (საქდესი).

ფოსტა-ტელეგრაფის ახალი სააგენტოები საქართველოს სოფლებში

მიმდინარე წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში საქართველოს სოფლებში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის 27 ახალი სააგენტო. სააგენტოები გახსნილია ყველაზე დაშორებულ პუნქტებში, რომლებსაც წინათ მომსახურებას უწევდნენ ფოსტა-ტელეგრაფის რაიონული განყოფილებანი. კერძოდ, დამოუკიდებელი სააგენტო გაიხსნა მაღალმთიან სოფელ ფსხუში (აფხაზეთი).

წლის დამლევამდე განზრახულია კიდევ 13 სასოფლო სააგენტოს გახსნა.

ახალი სააგენტოები ასრულებენ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებათა ყველა ფუნქციას — დეპეშების, ფულის გზავნილების, ამანათების მიღებასა და სხვ.

ყველა სააგენტოსთან მოწყობილია შემნახველი სალარო. (საქდესი).

„ნარკვევები ძველი რომის ისტორიიდან" ქართულ ენაზე

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პროფ. გ. გოზალიშვილის რედაქციით გამოსცა ვ. ს. სერგეევის წიგნი „ნარკვევები ძველი რომის ისტორიიდან", რომელიც ქართულ ენაზე სთარგმნა მ. ბერძნიშვილმა. მზადდება გამოსაცემად ამ წიგნის მეორე ნაწილი.

ახალი წიგნი წარმოადგენს ძვირფას სახელმძღვანელოს ისტორიული და ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. გამოცემის ტირაჟია 3.000 ცალი. (საქდესი).

ლექციები

28 სექტემბერს, საღ. 8 ს. და 30 წ. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში (მარქსის ქ. № 1) რუსულ ენაზე შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია **საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.** ბილეთი ღირს 1 მანეთი და იყიდება ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში (ლენინის ქ. № 41).

○

28 სექტემბერს, საღ. 8 ს. და 30 წ. პლეხანოვის სახ. კლუბში (საბჭოს ქ. № 128) რუსულ ენაზე შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია **საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.** ბილეთი ღირს 1 მანეთი და იყიდება რაიონის საწარმოების ბიბლიოთეკებში, რაიკომისა და თბილისის რკინიგზის კვანძის პარტიულ კაბინეტებში, ხოლო ლექციის დღეს — კლუბის სალაროში, ნაშუადღევის 4 საათიდან.

○

30 სექტემბერს, საღ. 8 ს. და 30 წ. პლეხანოვის სახ. კლუბში (საბჭოს ქ. № 128) რუსულ ენაზე შესდგება ამხ. **ა. ი. ნიკიტენკოს** ლექცია **კომუნისტური მორალის შესახებ,** ბილეთი ღირს 1 მანეთი და იყიდება რაიონის საწარმოების ბიბლიოთეკებში, რაიკომისა და თბილისის რკინიგზის კვანძის პარტიულ კაბინეტებში, ხოლო ლექციის დღეს — კლუბის სალაროში, ნაშუადღევის 4 საათიდან.

კუტუზოვის სამგლოვიარო ეტლი

უგლიჩი. ადგილობრივ მუზეუმში დაცულია უზარმაზარი სამგლოვიარო ეტლი, რომელიც გაკეთებულია ზარბაზნის ზედადგარისაგან. ამ ეტლით რუსეთში გადმოასვენეს ნეშტი დიდი რუსი მხედართმთავრის, გენერალ-ფელდმარშალი კუტუზოვისა, რომელიც 1813 წელს 28 აპრილს გარდაიცვალა ფრონტზე, შორეული სილეზიის ქალაქ ბუნცლაუში. ეტლი დიდხანს ინახებოდა კუტუზოვის ნათესავებთან — ტუჩკოვებთან. 1911 წელს ტუჩკოვების ერთერთმა შვილიშვილმა ეტლი უგლიჩში ჩაიტანა და საქალაქო მუზეუმს გადასცა.

25 სექტემბერი (საკდესი).

იისფერი საფოსტო ყუთები

თბილისის ფოსტამტმა ქალაქში გამოჰკიდა სპეციალური დანიშნულების ახალი საფოსტო ყუთები, რომლებიც შეღებილი არიან იისფრად და აქვთ წარწერები, რომ მოქალაქეებმა შიგ ჩაუშვან მხოლოდ ადგილობრივი წერილები.

ყუთებიდან ფოსტა წერილებს აგროვებს ყოველდღე, ნაშუადღევის 3 საათზე და იმავე დღეს, რიგს გარეშე აბარებს ადრესატებს.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

30 სექტემბერს, საღამოს 8 ს. და 30 წუთზე, ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში რუსულ ენაზე შესდგება პროფ. ბაქრაძის ლექცია. თემა: „საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება".

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1503269, გაცემული ავეტიკ ივანეს-ძე **ჯაგინოვის** სახელზე, პარტბილეთი № 2859703, გაცემული ვართან მიკირტუმის-ძე **დოხალოვის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1840575, გაცემული აშოთ სერგის-ძე **ჩალავიანის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1505495, გაცემული ვლადიმერ გიორგის-ძე **ჯავახიშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 2167596, გაცემული ანასტასია ბეჟანის-ასულ **კატაევას** სახელზე, პარტბილეთი № 1531463, გაცემული საბა კონსტანტინეს-ძე **დრაზდანოვის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 2159389, გაცემული სოკრატ იასონის-ძე **ლარცულიანის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ქვემო-სვანეთის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 2155225, გაცემული ტრიფონ ეპიფანეს-ძე **ჯანხოთელის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: გრიბოედოვის სახელობის — „ლევ გურიჩ სინიჩკინი" (აბონემენტის გარეშე), **საქესტრადის საზაფხულო თეატრი** — „კორნილი მალინოვკაში" (მე-3 აბონ. მე-14 წარმ.).

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „დურსუნ", **ოქტომბერი** — „დიდი ვალსი", **დამკვრელი** (ზამთრის და ზაფხულის) — „დურსუნ", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები", **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „ვაჟკაცობა", **ლუქსემბურგის სახ.** — „საყვარელი ქალიშვილი", **სპარტაკი** — „წმინდა იორგენის დღესასწაული", **კომინტერნი** — „ფედკა", **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „ტორჟოკელი თერძი", **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „ნარინჯის ველი", **განთიადი** — „ჯულბარსი", **ვოროშილოვის სახ. კლუბი** — „აზამატ", **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „ნამუსი", **წითელი არმიის სახლი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **წითელი არმიის სახლის პარკი** — „ასაი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი პლეხანოვის 123 ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
28 სექტემბერს მე-3 აბ. მე-14 წარმ. **კორნილი მალინოვკაში**
29 სექტემბერს დილის წარმოდგენა დაკლებულ ფასებში
კორნილი მალინოვკაში დასაწყისი დღის 12 საათზე.
29 სექტემბერს 1 აბ. 15 წარმ. **სილვა**
სალარო ღიაა 12 ს-დან 3 ს-დე 6 ს-დან 11 საათამდე.
ღია ესტრადა 28-29 სექტემბერს ესტრადის მსახიობთა **საღამო-კონცერტი**

საზაფხულო სეზონის დახურვა
30 სექტემბერს მე-2 და მე-3 აბ. მე-15 წარ.
სტალინგრადის მუსკომედიის თეატრის უკანასკნელი გასტროლი
სამი პიესა ერთ საღამოს 1) **კოლომბინა** (1 აქტი)
2) **ბოშათა ბარონი** (მე-2 აქტი)
3) **ცეცხლის ქურუმი ქალი** (მე-2 აქტი)

ღია ესტრადა **დიდი კონცერტი** 2 დიდ განყოფ.
მონაწილეობენ: ე. სოხაძე, თ. ჭავჭავაძე, ო. დოლიძე, ფ. ჭანტურია, ვ. გოძიაშვილი, სალარაძე-ჯაფარიძე. პროგრამის წამყვანი—ვ. ურუშაძე, როიალთან—ვ. შავერზაშვილი.
სტალინგრადის მუსკომედიის თეატრის არტისტები ესტრადაზე
მონაწილეობენ: მაისკი, ბლანი, ლაზარევი, იუგანსონი, ზავალოვი და სხვ.
ბალეტის სოლისტები: გერასიმჩუკი, მაგიცკაია, სოკოლოვა, ტულუპოვა, ბერგერი, ბერდნიკი, მოზგინი, მათვიევსკი და ბალეტის მთელი ანსამბლი. პროგრამის წამყვანი: ა. ვ. ილინსკი, როიალთან—დ. ლ. პალეი და ვ. ლ. კარპონოსოვი.

ბაღში **დიდი სეირნობა**
ცეცხლის კარნავალი, კონფეტი, სერპანტინი
უკრავს სასულე ორკესტრი ბახმანის ხელმძ. ოპერეტის დასაწყისი 9 საათზე. კონცერტის—9 საათ. 30 წუთ. ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის ბილეთებით.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

სეზონის გახსნა
28 სექტემბერს
აბონემენტის გარეშე
ზ. ფალიაშვილი
აბესალომ და ეთერი

29 სექტემბერს
აბონემენტის გარეშე
პ. ჩაიკოვსკი
ევგენი ონეგინი

1 ოქტომბერს
აბონემენტის გარეშე
ფ. ასაფიევი
ბაღჩისარაის შადრევანი

გამოშვებულია ინდივიდუალური აბონემენტები 20% და 15%-ის ფასდაკლებით. განცხადებები მიიღება თეატრის სალაროში. დაწყებულია მე-2 მორიგი გადასახადის მიღება ყველა აბონემენტის მიხედვით.
სალარო ღიაა დილის 11-დან 3 საათამდე და 5-დან 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.

28 სექტემბერს
მე-3 აბ. მე-2 წარმ.
გრაფის ქვრივი

29 სექტემბერს
გიორგი სააკაძე

დასაწყისი 8 ს. 30 წ.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილის 12-დან საღ. 9 საათამდე.
აბონემენტების გაცემა გრძელდება.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.

28 სექტემბერს
აბონემენტის გარეშე
გიორგი სააკაძე

29 სექტემბერს
აბონემენტის გარეშე
ბედნიერება

1 ოქტომბერს
სერია მე-4 აბ. მე-2 წარმ
გიორგი სააკაძე

დასაწყისი 8 ს. 30 წ.
29 სექტემბერს დღის წარმოდგენა **ანრი სეარ** დასაწყისი დღის 12 ს.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ.წ. სეზონი
29 სექტემბერს დღის წარმოდგენა
ა. სამსონია და დ. ანთაძე
ანრი სეარ
დრამა 3 მოქმ. 9 სურათად
დადგმა ბ. გამრეკელისა (რესპ. დამსახ. არტ.), დირიჟორი — კ. სირბილაძე,
მხატვარი — ი. შტენბერგი, ბალეტმეისტერი — მ. კაზინეცი
მუსიკა — ო. ბარამიშვილისა, ტექ. რეჟისორი — ს. ტურიანი
ბავშვები 8 წლამდე წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.
სალარო ღიაა დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი დღის 12 საათზე. 100

ა. წ. 13 ივლისს სოფ. ინჩხურიდან (გეგეჭკორის რაიონი) სამტრედიაში წამოვიდა და აპირებდა თბილისში ჩამოსვლას **ივანე ნიკოლოზის-ძე ლაგვილავა,** მაგრამ თბილისში არ ჩამოსულა. არის მოხუცი, ტანად საშუალო, შუბლის მარცხენა გვერდზე აქვს ჭრილობა, დაწეული ძვალი. მნახველი მიიღებს ჯილდოს. გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: თბილისი. იმერეთის ქ. № 47. **ნიკოლოზ ლაგვილავა.** 8082

ბიძა შალვა, ბიცოლა ლიდა, ბიძაშვილები აჩიკო, ეთერ იუწყებიან
სოსო შენგელიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 29/IX ფოთის, 9. 8078

მშობლები ვლადიმერ, ნინო მესხელები, დები თამარ, დოდო, ზინა, ძმა პავლე, დეიდები—სონა, კატუშა, იულია ქმრით, ბებია ვიქენცია იუწყებიან
პატარა ნელის
გარდაცვალებას. გამოსვენება თხინვალის 5, დაკრძალვა 29/IX 4 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე.

დედა მარიამ, და ნუნუ იუწყებიან, რომ 29/IX 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
ტიტო (დიმიტრი) საყვარელიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 8095

დედა ნატაშა, ცოლი მარგო, ბებია ლიზა, ბიძა სანდრო აბუაშვილები ჟენია და კოლია დიდებულიძეები იუწყებიან
გივი ივანეს-ძე აბუაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28/IX საღ. 7 ს. დაკრძალვა 29/IX 4 ს. ბორჯომის ქ. № 6.

მეუღლე ტასო, შვილები ანიჩკა, ლარისა, რძალი ლია, სიძეები ევტიხი ხომერიკი, არჩილ დოლიძე იუწყებიან, რომ 29/IX 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
გრიგოლ დიმიტრის-ძე გულისაშვილის
პანაშვიდი. 8097

მეგობრები მაიკო, ვარო, ოლა თამარ, ნელი, ვანო და მოსე იუწყებიან
ქსენია კაშიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28/IX 7 ს. პეტრიაშვილის, 10. გამოსვენება 29/IX 4 ს. ვაკის სასაფლაოზე. 8101

ბებია ვიქენცია, მამიდები კატუშა იზნაუროვა, სონია თურვანდიშვილი შვილებით, იულია მარქარიანი ქმრით ბაგრატით და შვილებით იუწყებიან
ნელი (გვრიტო) ვლადიმერის-ასულ მესხელის
გარდაცვალებას. 8102

მეუღლე პართენ, შვილები იოსებ, გრიგოლ, ევგენ, მარო, ეკატერინე, რძლები თამარ, გალინა, გაფრინდაშვილები შვილებით იუწყებიან
დესპინე ბესარიონის-ასულ გაფრინდაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29/IX ს. შუქრუთში (ჭიათურის რ.). 8103

ცოლი ოლა, მარო ალექსიშვილი, ცოლისდა ნადა ქმარშვილით, შაქრო, ცოლშვილით, დაშა ქმარშვილით იუწყებიან
ბეგლარ გიორგის-ძე არენოვის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28/IX 7 ს. გამოსვენება 29/IX 2 ს. ვეძინის, 22. 8091

ძმა გაბრიელ, მეუღლე ნადია, შვილი ნიკოლოზ, შვილიშვილები, რძალი ვალია ქვლივიძეები, ცოლისდა მარიამ სოვინი იუწყებიან, რომ 28/IX საგარეჯოში დანიშნულია
კონსტანტინე ზაქარიას-ძე ქვლივიძის
პანაშვიდი. 8092

შვილები ლიდა, ლუარსაბ შვილით, მარო, ვახტანგ, მიტო, რძალი ოლიკო შვილებით, სიძე ნიკო ხოხიაშვილი შვილებით, იუწყებიან, რომ 29/IX 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
ნატალია მაჭარაშვილის
პანაშვიდი. 8093

მშობლები ბაბილინა, მიხეილ შვილებით გურგენიძეები, ბებია ეფროსინე, რძალი მარგო, სიძე კოტე იუწყებიან, რომ 29/IX ქ. წულუკიძეში დანიშნულია
ლიზა მიხეილის-ასულ გურგენიძის
პანაშვიდი. 8094

მეუღლე ამბაკო, შვილები ელენე, ვერა, მიშა, რძლები თამარ, ქსენია, სიძე ბ. ჩხეიძე, შვილიშვილები იუწყებიან, რომ 29/IX 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
პელაგია ალექსის-ასულ ცაგარელის
პანაშვიდი. 8096

დები ცაცუ და ეფროსინე გაბუნიები, ტასურა დიდიძე, ლენა ლოლუა, ვერა ქლენტი იუწყებიან, რომ 29/IX 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
პაშა ანტონის-ასულ კემულარიას
სამოქალაქო პანაშვიდი. 8081

ძმა კოტე, რძალი ოლია, დები ლუბა, ქსენია, ბიძაშვილები ტოგო, ვალია ცხომელიძეები, ბაბუა, ბებია, ბიცოლა, ბიძაშვილები რამიშვილები იუწყებიან
ჟენია ცხომელიძე-ცქვიტინიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 28/IX 6 ს. იაზანოვის, 8. 8085

მშობლები ივანე, ანა, ძმები არჩილ, გაიოზ, და თამარ, სიძე ივანე ხუციშვილი, რძალი ეკატერინე იუწყებიან
ავთანდილ ივანეს-ძე გოდერძიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა საგარეჯოში 29/IX. 8087

შვილები ამბროსი, გერონტი, ელიადორი, დათიკო, რძლები აგრაფინა, მარო, ნინო, მარო, შვილიშვილები მედეა, ნაზიკო, ერიკა, გურამ იუწყებიან
ივანე ესეს-ძე ბაჩჩილაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 29/IX. 8088

მშობლები ბაია, ლევან შვილით კოტიკოთი იუწყებიან რომ 29/IX 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია
ქუჩუკ ლევანის-ძე აბდუშელიშვილის
პანაშვიდი. 8089

მშობლები ტასიკო, გრიშა ძნელაძეები, ბებია ფეფე ოზიაშვილი, დეიდები ბაბულია, დარიკო, თამარ იუწყებიან, რომ 29/IX 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია პატარა
მერაბიკოს
პანაშვიდი. 8090

მშობლები კონსტანტინე, აგრაფინა, და თამარ, სიძე აქვსენტი, დისწული ბადრი იუწყებიან საგზაო ინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტის
სოლომონ (სოსო) შენგელიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28/IX 7 ს. ფოთის, 9. დაკრძალვა 29/IX 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 8106

მირიანაშვილი, ქარუმიძე, თინიკაშვილი, თოთიბაძე, ჩიგოგიძე, წივწივაძე, კეკელია, ჯაკობია, კვირიკაშვილი, უროტაძე, ბურთიკაშვილი, როინიშვილი, მელაძე, მშველიძე, ლორთქიფანიძე. კოპლატაძე თანაუგრძნობენ თ. შენგელიას მისი ძმის
სოსიკოს
გარდაცვალების გამო. 8107

შვილები შაქრო, ვანო, სონა, ნატაშა, რძლები მერი, ანა, სიძეები სერგო, იოსებ, შვილიშვილები, იუწყებიან, რომ 29/IX 5 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია
მარიამ (მაშო) იოსების-ასულ გომელაურის
პანაშვიდი. 8098

მეგობრები ფურცელაძე, კაჭკაჭიშვილი, ალიბეგაშვილი, ალ. მაღულარია, შ. აროშიძე, ნათელაშვილი, მ. აროშიძე, მავზარაშვილი, მანჯგალაძე, გაბუნია, გოგიავა, ჩანტლაძე თანაუგრძნობენ აკაკი სურგულაძეს მისი მამის
ნესტორ სურგულაძის
გარდაცვალების გამო. 8099

ცოლი ნინო, შვილები გიორგი, გრიშა, ბენია, აკაკი, ლოლა, რძლები ქეთო, სონა, დუსია, შვილიშვილები ქეთო, მარგარიტა, კუკური, ლეო, ბელა, ლამარა, ნათელა, ციუზა, სიძე კ. მორჩაძე, გ. ლომინაძე იუწყებიან
ნესტორ ართამიზის-ძე სურგულაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29/IX ს. შემოქმედში (მახარაძის რ.). 8100

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უე 1179